www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 25 სექტემბერი, 2003 წელი. №255 (467)

ფასი 30 თეთრი

# ნაცისტური რუსეთი "პარია" გახდება

## თუ დასავლეთმა და აშშ-მ პუტინი არ შეაჩერა

შოთა უტიაშვილი

"ახლო მომავალში კავკასიაში შეიძლება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები წარმოიშვას: ხელისუფლების ცვლილებამ აზერბაიჯანში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, ხოლო შევარდნაძის პოლიტიკიდან წასვლას ქაოსი მოჰყვეს საქართველოში. მოსკოვმა და ვაშინგტონმა უნდა შეიმუშაონ გეგმა, რომლის მიხედვითაც, ორივე შეძლებს კავკასიაში თავისი ინტერესების განხორციელებას. სომხეთში აშშ-რუსეთის წარმატებული თანამშრომლობა გვიჩვენებს, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია," – წერს ცნობილი რუსი ანალიტიკოსი დმიტრი ტრენინი. ბუშისა და პუტინის კემპ-დევიდის სამიტის რუსი ექსპერტები, ძირითადად, ამგვარ მოსაზრებას გამოთქვამენ.

"ერაყული მახე, რომელშიც ამერიკელები საკუთარი ინიციატივით გაებნენ (მიუხედავად მოსკოვის არაერთი გაფრთხილებისა),

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

ჯორჯ ბუში და ვლადიმირ პუტინი.

# სომხეთი საქართველოსგან 20 მილიონი დოლარის დაბრუნებას მოითხოვს

ნინო ნარჩემაშვილი

*სომხეთის მიმართ საქართველოს საგარეო ვალის საკითხი პარიზის კლუბმა სომხეთის მონაწილეობის გარეშე არ უნდა განიხილოს, - მიიჩნევენ ყოფილი მოძმე რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში.*

პარიზის კლუბი, რომელიც მასში შემავალი ქვეყნების საგარეო ვალებისა თუ ვალდებულებების საკითხს არეგულირებს, საქართველოს საკითხის განხილვას, სავარაუდოდ, მომავალი წლის აპრილის თვეში დაუბრუნდება. რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან წარმოქმნილი პრობლემების გარდა, სომხეთის ვალის გადაუჭრელი საკითხიც დაემატება, რადგან სომხეთის მთავრობა დავალიანების ეტაპობრივ, მაგრამ დაუყოვნებლივ გადახდას მოითხოვს. საინფორმაციო სააგენტო "არმინფოსათვის" მიცემულ ინტერვიუში, სომხეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ვარდან ხაჩატრიანი აცხადებს, რომ საქართველომ ერთხელ უკვე მიმართა პარიზის კლუბს და მიაღწია ზედიზედ ორი წელიწადის განმავლობაში (2001-2002 წლები) სომხეთის მიმართ მისი ვალის რესტრუქტურიზაციას. მინისტრის თქმით, მაშინ 20 მილიონი დოლარის დავალიანების გადახდის ვადად 2021-2022 წლები დასახელდა. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობას მისი გასტუმრება უკვე 2003 წლიდან უნდა დაეწყო. ვარდან ხაჩატრიანის განცხადებით, **"გამორიცხული არ არის, რომ საქართველომ ისევ მიმართოს პარიზის კლუბს სომხეთის ვალის გადახდის გადავადების თხოვნით, რადგან მას არა აქვს სახსრები რუსეთის, თურქმენეთის, ირანის თუ სხვა ქვეყნების მიმართ აღებული ვალდებულებების დასაფარად."**

საინფორმაციო სააგენტო "ინტერ-პრესის" ცნობით, საქართველომ სომხეთს 20 მლნ. დოლარის ოდენობის ვალის დაბრუნებაზე უარი განუცხადა, რაც ვარდან ხაჩატრიანის თქმით, მოტივირებულია იმით, რომ საქართველოს 2004 წლის მაისამდე შეწყვეტილი აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება და ამჟამად სომხეთის მთავრობა დამატებითი სახსრების გამოძებნას ცდილობს, რათა საბიუჯეტო ვალის დაგროვება თავიდან აიცილოს.

### იწყება ბაქო-თბილისი-ერზრუმის (შაჰ-დენიზის) სამხრეთ-კავკასიური მილსადენის მშენებლობა

ბაქო-თბილისი-ერზრუმის (შაჰ-დენიზის) სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მშენებლობის აქტიურ ფაზაში შესვლასთან დაკავშირებით, თბილისს სამხრეთ-კავკასიური მილსადენის კომპანიის დირექტორატის წევრები ეწვევიან. ხვალ, 26 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია და სამხრეთ-კავკასიური მილსადენის კომპანია ერთობლივ სხდომას გამართავენ სახელმწიფო კანცელარიაში.

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | ☼ |
| ქუთაისი | 27 | ☼ |
| ბათუმი | 26 | ☼ |
| სოხუმი | 26 | ☼ |
| ფოთი | 27 | ☼ |
| თელავი | 20 | ☼ |
| ზუგდიდი | 28 | ☼ |
| გორი | 20 | ☼ |
| ახმეტა | 20 | ☼ |
| ჭიათურა | 23 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.4216 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4836 |
| რუბლი | 0.0692 |

# პრეზიდენტის დამამწუხრებელი – ღვინო და პოლიტიკა პრეზიდენტის აღმაფრთოვანებელი – საქართველოს გზები

თამარ ხორბალაძე

ქარიშხალს, თითქოს, არაფერი მოასწავებდა.

მთავრობის სხდომა წინასაარჩევნოდ ისეთი უმტკივნეულო დღის წესრიგით შეიკრიბა, თითქოს ამ ქვეყანაში ბიუჯეტიც შესრულებული იყოს, პენსიებიც და ხელფასებიც - გასტუმრებული, სოციალური და ჯანდაცვის პრობლემები – მოგვარებული, მოქალაქეთა უსაფრთხოება – დაცული, ტერიტორიული მთლიანობა – აღდგენილი...

მოკლედ, გუშინ საქართველოს მთავრობა ქართულ სტატისტიკაზე, ქართველ მოხელეთა მზადება-გადამზადებაზე, იფადის პროგრამებსა და ქართულ გზებზე (თითქმის აღფრთოვანებით) მსჯელობდა.

თუმცა, საქართველოს პრეზიდენტი და, ზოგადად, მთავრობა, რომელიც მოსალოდნელი არჩევნების უკვე მწველ სუნთქვას კანცელარიაშიც გრძნობს, აშკარად წინასაარჩევნო "გადახვევებს" ამ სხდომაზეც ვერ ასცდა.

საქართველოს სტატისტიკაზე საუბარმა ედუარდ შევარდნაძეს თავის დროზე მის მიერვე შეპირებული მილიონი სამუშაო ადგილი გაახსენა და ისიც აღიარებინა, რომ მაშინ **"მილიონი სამუშაო ადგილის შეპირება ნაადრევი იყო".** ახლა კი, ჩანს, დადგა დრო, რომ ხელისუფლებამ დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი დაითვალოს და ამიტომ საქართველოს პრეზიდენტმა სტატისტიკის სამსახურს ამ ციფრის წარმოდგენა დაავალა.

არჩევნების მოახლოება ედუარდ შევარდნაძეს კადრების მომზადება-გადამზადების საკითხმაც გაახსენა, რადგან, თურმე, პარლამენტარებისა და პარლამენტარობის კანდიდატთა გაუნათლებლობისა და უვიცობის გამო, სულ უფრო და უფრო ხშირად უნდება (თუ უხდება) ტელევიზორის გადართვა. განსაკუთრებით საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ერთ-ერთ იმათგანად, ვინც **"შესაძლოა კარგი მეწარმეა, მაგრამ პარლამენტში არაფერი ესაქმება",** ედუარდ შევარდნაძემ სამშაბათს მის მიერვე წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატი, რუსთავის ცემენტის ქარხნის დირექტორი დაასახელა, თუმცა – გვარი არ უხსენებია.

სხვათა შორის, **"უვიცობა და გაუნათლებლობა"** არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ საკრებულოშიც სჭრის თვალს პრეზიდენტს

გაგრძელება A2 გვერდზე

# დაუფინანსებლობა არჩევნების ჩატარებას საფრთხეს უქმნის

ვერიკო თევზაძე

*"როდესაც არჩევნების დაფინანსება ჭიანურდება, ეს მაძლევს იმის საფუძველს, რომ ვთქვა: ხელისუფლება არაფერს აკეთებს არჩევნების ნორმალურად ჩატარებისთვის. იმის ეჭვიც ჩნდება, რომ დაფინანსება, ხშირ შემთხვევაში, ხელოვნურად ჭიანურდება," - განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.*

**"იმის გამო, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საოლქო საარჩევნო კომისიებს სახელმწიფო ხაზინიდან ჯერ თეთრიც არ მიუღიათ, წინასაარჩევნო ღონისძიებები კანონით განსაზღვრულ ვადებში ვერ ტარდება."** "სამართლიანმა არჩევნებმა" გუშინ შეშფოთება გამოთქვა ხელისუფლების მცდელობაზე, ქვეყანაში წესრიგი პოლიციური

გაგრძელება A3 გვერდზე



"სამართლიანი არჩევნები" შეშფოთებულია ხელისუფლების უმოქმედობით.

# სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერები რჩეულიშვილის წინააღმდეგ (?!)

*ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას საქართველოს პარლამენტში საკუთარი წარმომადგენელი ეყოლება. არასამთავრობო ორგანიზაციათა კონფედერაციამ - „ცხინვალის სახლი" - პრეზიდენტ შევარდნაძისა და სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძისგან უკვე მიიღო გარანტია, რომ სახელისუფლებო ბლოკის გამსვლელ სიაში მოხვდება კონფედერაციის თავმჯდომარე, ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის) კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 49 წლის მარინა მეშვილდიშვილი. მეშვილდიშვილის კანდიდატურის წინააღმდეგია "სოციალისტი" ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელსაც "ცხინვალის სახლის" წარმომადგენლები" ქართულ-ოსური კონფლიქტისთვის გამოყოფილი თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებენ.*

სოფო ბუკია

ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებიდან ცამეტწლიანი პაუზის შემდეგ ცხინვალის რეგიონიდან დევნილ, დაახლოებით, რვა ათას ხუთას ამომრჩეველს პირველად ეძლევა საშუალება, საკუთარი ქვეყნის პარლამენტში საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდეს. როგორც "ცხინვალის სახლის" წარმომადგენლები აცხადებენ, თავდაპირველად, მათ თხოვნით მიმართეს ხელისუფლებას, გახსნილიყო ცხინვალის 42-ე და ჯავის 34-ე საარჩევნო უბნები, სადაც დევნილები საქართველოს პარლამენტში საკუთარ წარმომადგენელს მაჟორიტარული წესით აირჩევდნენ. ხელისუფლებამ ამ წინადადებაზე პოლიტიკური მოტივით უარი განაცხადა და დევნილთა წარმომადგენელს საკუთარი ბლოკის სიაში გამსვლელი ადგილი შესთავაზა.

"ცხინვალის სახლმა" მარინა მეშვილდიშვილის მხარდასაჭერად ხუთი ათასი ხელმოწერის შეგროვება შეძლო. აქედან, როგორც კონფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აბესალომ ქევხიშვილი აცხადებს, ოთხასი ხელმოწერა ოსი ეროვნების წარმომადგენლებს ეკუთვნით. მისივე თქმით, კონფედერაციამ გამოკითხა

გაგრძელება A2 გვერდზე

# ნინო ბურჯანაძე ლევან მამალაძის "სამფლობელოში" შეიჭრა

გიორგი ასანიშვილი

*ნინო ბურჯანაძე ოპოზიციისთვის "დანაღმულ ტერიტორიაზე" შევიდა და... იქიდან უვნებელი გამოვიდა. ქვემო ქართლი ყოველთვის წარმოადგენდა სახელისუფლებო გუნდის პოლიტიკურ დასაყრდენს. ასე იყო ზვიად გამსახურდიას დროს, ასეა ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც. ამ რეგიონში ოდნავი წარმატების მიღწევაც კი დღემდე ოპოზიციის აუხდენელ ოცნებად რჩება. როგორც ჩანს, შევარდნაძის ბანაკი ქვემო ქართლის "კოზირის" ხელიდან გაშვებას არც 2 ნოემბრის არჩევნებისთვის აპირებს. სხვა თუ არაფერი, პრესტიჟის ამბავია - ბოლნისის რაიონში ხომ თავად ექს-გუბერნატორი ლევან მამალაძე იყრის კენჭს. ამიტომ, პარლამენტის თავმჯდომარეს მის "სამთავროში" იოლი გასეირნება რომ არ ელოდა, თავიდანვე ნათელი იყო.*

გაგრძელება A3 გვერდზე



ქალის ფაქტორი - ნინო ბურჯანაძე ქვემო ქართლში.

# არჩევნების გაყალბება ხელისუფლებას სასამართლოს კარამდე მიიყვანს

*ოპოზიცია ხელისუფლების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს საარჩევნო კამპანიისთვის სახელისუფლებო რესურსების გამოყენებაში ადანაშაულებს. ზესტაფონის რაიონში "ნაციონალების" მაჟორიტარი კანდიდატი, ადმინისტრაციული ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელი დავით მუმლაძე 2 ნოემბერს სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატს, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ შეფს, ბორის სარალიძეს უნდა დაუპირისპირდეს. მუმლაძე სარალიძეს ზესტაფონელების მოსყიდვასა და საარჩევნოდ შავი ფულის გამოყენებაში ადანაშაულებს.*
*გთავაზობთ ინტერვიუს დავით მუმლაძესთან:*

სოფო ბუკია

- 2 ნოემბრის არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობა" სერიოზული შედეგებით გაიმარჯვებს. ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის, ამიტომ იმ რაიონებში, სადაც "ნაციონალურ მოძრაობას" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად საკუთარი წარმომადგენლები ჰყავს, ხელისუფლებამ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირები გააგზავნა. ზესტაფონში ხელისუფლება ბორის სარალიძის მეშვეობით გვებრძვის.

**- ალბათ, ყველას და მათ შორის ხელისუფლებასაც აქვს უფლება, მისთვის სასურველი კანდიდატურა წარადგინოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად...**

- დიახ, თუკი ეს კანდიდატი ღირსეულად, სამართლებრივი ჩარჩოების დაცვით შეეცდება არჩევნებში გამარჯვებას და არა - გაყალბებისა და მოსახლეობის მოტყუების გზით.

**- რას გულისხმობთ?**

- ცენტრალური ხელისუფლება და მასზე მიბმული ადგილობრივი მთავრობა უკვე ემზადება არჩევნების გასაყალბებლად ზესტაფონში. ყველა დონის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება ზესტაფონში ხელისუფლების უშუალო ჩარევით ხდება. დაფიქსირებულია "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების შევიწროებისა და დაშინების ფაქტებიც. რამდენიმე დღის წინ

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# პრეზიდენტის დამამწუხრებელი – ღვინო და პოლიტიკა პრეზიდენტის აღმაფრთოვანებელი – საქართველოს გზები

პირველი გვერდიდან

და ედუარდ შევარდნაძე სწორედ "გაუნათლებლობას" მიაწერს საკრებულოს მიერ ბოლო პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებს, საკრებულოს ამ **"უვიცობის"** მოწმედ კი თბილისის მერი ვანო ზოდელავა მოჰყავს.

უვიცობასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტს ქართული ღვინის უხარისხობაც აწუხებს – აბა, როგორ, ზოგიერთებს რომ ღვინის წარმოება **"მიუგდიათ და პოლიტიკაში აღწევენ წარმატებებს, თუმცა ეს წარმატებაც მათ სინდისზე იყოს"**, რა ეშველება ქართულ ღვინოს, რომელიც ძველ სახელს კარგავს. არადა, **"მეც წავეხმარე თავის დროზე,"** – წუხს საქართველოს პრეზიდენტი და ამ ადამიანებს პოლიტიკიდან შორს დადგომას სთხოვს. თუმცა, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, გვარებს აქაც არ აკონკრეტებს.

ველარ ამაყობს შევარდნაძე ქართული ღვინით.

სამაგიეროდ, საქართველოს პრეზიდენტის სიამაყის გრძნობას ქართულ ტრასაზე მოსეირნე ძროხები კვებავს...

პრინციპში, გუშინ სულ ეს იყო.

რამდენიმე ციფრიც ითქვა, რამდენიმე მოხსენებაც გაკეთდა, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის წუხილებთან შედარებით, ეს ყველაფერი უკვე "მეორადი" გახლდათ...

*მონიტორინგი*

# პენსიები - მოუგვარებელი პრობლემა

21 სექტემბრისათვის სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების 8 თვის გეგმა დაფინანსებულია 73 პროცენტით, გარღვევა 14 მილიონ 974 ათასი ლარია.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა დაფინანსებულია 76,5 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა - 50,1 პროცენტით, ხოლო უმუშევრობის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები 44,1 პროცენტით.

კვლავ უმძიმესი მდგომარეობაა პენსიების დაფინანსებაში. იგი სრულად არის დაფინანსებული მხოლოდ აპრილის თვის ჩათვლით. მაისის პენსიებში გარღვევა 7,1 მილიონი ლარია, ივნისში - 9,9 მილიონი ლარი, ივლისში - 10,9 მილიონი ლარი, აგვისტოში - 13,8 მილიონი ლარი, ხოლო სექტემბრის დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.

ძალოვანი სტრუქტურების პენსიები, რეგრესული პენსიები და უმწეოთა სოციალური დახმარება დაფინანსებულია მხოლოდ ივლისის ჩათვლით. აგვისტო-სექტემბრის დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.

21 სექტემბრისათვის პენსიებში გარღვევა 64,8 მილიონი ლარია. სულ სოციალური ფონდის ხარჯებში გარღვევა 79,77 მილიონი ლარია.

სამწუხაროდ, არჩევნებმაც კი ვერ უშველა პენსიების სამართლიან და დროულ დარიგებას.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

**სოციალური ფონდის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯები 21 სექტემბრისთვის**

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % |
|---|---|---|---|
| [illegible] | 49,245 | 37,681 | 76.5% |
| [illegible] | 9,395 | 4,823 | 51.3% |
| [illegible] | 33,234 | 26,793 | 80.6% |
| [illegible] | 5,700 | 5,165 | 90.6% |
| [illegible] | 916 | 901 | 98.3% |
| [illegible] | 2,725 | 1,365 | 50.1% |
| [illegible] | 942 | 139 | 14.7% |
| [illegible] | 1,250 | 804 | 64.3% |
| [illegible] | 133 | 53 | 39.4% |
| [illegible] | 400 | 370 | 92.5% |
| [illegible] | 3,667 | 1,616 | 44.1% |
| [illegible] | 260 | 176 | 67.7% |
| [illegible] | 1,360 | 638 | 46.9% |
| [illegible] | 1,233 | 20 | 1.6% |
| [illegible] | 253 | 15 | 5.9% |
| [illegible] | 560 | 473 | 84.4% |

**პენსიების დაფინანსება 21 სექტემბრისთვის**

| დასახელება | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

**ვისაც სურს გახდეს ჟურნალისტი!**

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია
თბილისის ჟურნალისტთა სახლი
აცხადებს მიღებას ახალგაზრდა ჟურნალისტთა სკოლაში.

სწავლება ორწლიანია.

განხრა: პრესა, ტელეჟურნალისტიკა.
სრული კურსის დამთავრების შემდეგ საწარმოო პრაქტიკა დაგეგმილია ცნობილი გაზეთების რედაქციებში.

კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს.

სწავლების სისტემა: კვირაში ორი დღე
(სასწავლებლიდან, წარმოებიდან მოუწყვეტლივ).
მიღების წესი: წერა (თავისუფალი თემა), გასაუბრება.

მიღების ვადა 1 ოქტომბრამდე.
მისამართი: ანტონ კათალიკოსის ქუჩა 136
ერეკლეს მოედანი, თბილისის ჟურნალისტის სახლი.

მიღების დრო: სამშაბათი (11-14 სთ.)
ხუთშაბათი (15-18 სთ.)
შაბათი (12-14 სთ.)

დამატებითი ცნობები, ტელ: 98 74 89 22 62 68 8 93 36 99 09

# სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერები რჩეულიშვილის წინააღმდეგ (?!)

პირველი გვერდიდან

700-მდე დევნილთა ოჯახი, რომელთა 87-მა პროცენტმა მეშვილდიშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. **"მარინა ცხინვალში ძალიან დიდი ნდობით სარგებლობს. რაც ყველაზე მთავარია, მას ოსებიც ენდობიან... სახელისუფლებო ბლოკი თანახმაა, მეშვილდიშვილი თავის გამსვლელ სიაში ჩაწეროს,"** – აღნიშნა ქევხიშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.



*"ცხინვალის სახლის" წარმომადგენლები რჩეულიშვილს ფულის გაფლანგვას აბრალებენ.*

როგორც გუშინ აღინიშნა, მარინა მეშვილდიშვილის პარლამენტში მოხვედრის სურვილი თავად ცხინვალის მოსახლეობას გამოუთქვამს. მეშვილდიშვილი ცხინვალელია და კონფლიქტის დაწყებამდე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელისუფლებო სტრუქტურებში მუშაობდა. იგი ასევე გახლავთ "მოქალაქეთა კავშირის" რეგიონული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელიც.

დეპუტატობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ ხუთი ათასი დევნილი, რომელთაც ხელმოწერების საშუალებით მხარი დაუჭირეს მის კანდიდატურას, 2 ნოემბრის არჩევნებზე სახელისუფლებო ბლოკს მისცემენ ხმას. **"არა მგონია, დევნილებს ხელისუფლების მიმართ ნდობა ჰქონდეთ დაკარგული,"** – აცხადებს იგი. რა პოზიციას დაიკავებს სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო სიაში მარინა მეშვილდიშვილი, ჯერჯერობით, უცნობია. როგორც ქევხიშვილი ამბობს, სავარაუდოდ, იგი პირველ ოცდაათეულში მოხვდება.

როგორც გაირკვა, სახელისუფლებო ბლოკში მეშვილდიშვილს "სასტიკი მოწინააღმდეგეებიც" ჰყოლია. "ცხინვალის სახლის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქართულ-ოსურ კონფლიქტში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, "სოციალისტი" ვახტანგ რჩეულიშვილი სახელისუფლებო ბლოკის სიაში მეშვილდიშვილის ნაცვლად საკუთარი თანაპარტიელის, ცხინვალის რეგიონიდან დევნილი რობერტ მამისაშვილის კანდიდატურას ლობირებს, რომელსაც ცამეტი წლის განმავლობაში დევნილებისთვის არაფერი გაუკეთებია.

"ცხინვალის სახლის" ერთ-ერთი თანათავმჯდომარე თემურ ამბროლაშვილი რჩეულიშვილს ადანაშაულებს ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად გამოყოფილი თანხების გაფლანგვასა და საკუთარი ბიზნესინტერესების ლობირებაში. მისი თქმით, რჩეულიშვილს, ცხინვალის რეგიონიდან ხე-ტყის გატანის, რუსეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზებისა და მინერალური წყლების ათვისების გარდა არაფერი აღელვებს. **"თუ რჩეულიშვილი წინააღმდეგობას გაგვიწევს, იძულებული ვიქნებით, პროტესტის ზომებს მივმართოთ,"** – აცხადებენ "ცხინვალის სახლის" წარმომადგენლები.

კონფედერაციის მესვეურები ამბობენ, რომ ცხინვალიდან დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციებს წინასაარჩევნო გაერთიანების საკითხებზე კონსულტაციები ოპოზიციურ ძალებთანაც ჰქონდათ, მაგრამ მათ დევნილთა პრობლემებისადმი ინტერესი არ გამოუჩენიათ.

# არჩევნების გაყალბება ხელისუფლებას სასამართლოს კარამდე მიიყვანს

პირველი გვერდიდან

მოხსნეს ზესტაფონის გამგებელი იმის გამო, რომ იგი ხელისუფლების ყურმოჭრილი მსახური არ იყო.

**- კონკრეტულად, ბორის სარალიძესთან რა პრეტენზიები გაქვთ?**

- ბატონი სარალიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტს. მითხარით, რატომ დღემდე არ გაახსენდა, რომ ზესტაფონში გზებია დასაგები? ზესტაფონში დაგებულია მხოლოდ ცენტრალური და სოფელ ფუთში სარალიძის სახლამდე მისასვლელი გზა. დღეს სარალიძეს მობილიზებული აქვს შავი ფინანსური რესურსები, რომელთა დაგროვება მან უხვად შეძლო ყოფილ თანამდებობაზე მუშაობისას. იგი აგებს გზებს, სხვადასხვა დაპირებებით ატყუებს მოსახლეობას.

სარალიძე საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიითაც ახერხებს ფულის კეთებას. გეტყვით, რას ვგულისხმობ: ამჟამად აგებენ სოფელ კლდეეთში ამავალ გზას. ოფიციალურად გამოცხადებული აქვთ, რომ ამ გზის ღირებულება მილიონ სამოცი ათასი ლარია. სინამდვილეში იქ მხოლოდ ასი ათასი ლარის სამუშაოა. ალბათ, მიხვდებით, სად წავა მორჩენილი ფული. ეს არის კრედიტით აღებული თანხა, რომელიც შემდეგ ჩემმა და თქვენმა შვილებმა, მომავალმა თაობამ უნდა გაისტუმროს.

გარდა ამისა, ალბათ, საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება, თუ ბორის სარალიძე კეთილს ინებებს და ხალხს მოუყვება, სად მიდის საგზაო ფონდის ის შემოსავლები, რომელთაც იგი წლების მანძილზე ლობირებდა. რიკოთის გვირაბთან არსებული გამშვები პუნქტიდან ყოველთვიურად 150 ათასი დოლარი უნდა შედიოდეს ბიუჯეტში. სად მიდის ეს თანხა?

შეხედეთ, რა ხდება ფეროს ქარხანაში. უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს ქარხანა შევარდნაძემ თავის ოჯახს აჩუქა. ფეროს დავალიანება ზესტაფონის ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართ 4 მილიონ 425 ათას ლარს შეადგენს. თუმცა, ფეროს დამატებითი ღირებულების გადასახადში ზედმეტად აქვს გადახდილი 5 მილიონ 515 ათასი ლარი. ხელისუფლება დაკავებულია ბიუჯეტის ლამაზი ციფრებით შევსებით, რომ მერე ფინანსთა სამინისტრომ თავი მოიწონოს.

**- როგორ მიმდინარეობს თქვენი საარჩევნო კამპანია?**

- აქცენტი მოსახლეობასთან შეხვედრაზე მაქვს გადატანილი. ყოველდღიურად ათასობით ზესტაფონელს ვხვდები და კარგად ვიცი, როგორ ეზიზღებათ მათ ეს ხელისუფლება. ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის, ამიტომ გაყალბების გზით აპირებს არჩევნების მოგებას. მინდა ყველამ იცოდეს, რომ არც ზესტაფონელი მოსახლეობა და არც "ნაციონალური მოძრაობა" არჩევნების გაყალბებას არ დაუშვებს. საბოლოო ჯამში, არჩევნების გაყალბების მცდელობები მათ სასამართლოს კარამდე მიიყვანთ. ამის პირობას "ნაციონალური მოძრაობა" დებს.

# ძმის მკვლელობაში ბრალდებული მართლმსაჯულების გადაწყვეტილებას ელოდება

თამარ კაციტაძე

*გაზეთ "24 საათის" რედაქციაში მოვიდა მოქალაქე რუსუდან ხარატიშვილის წერილი, სადაც იგი თავისი მეუღლის მკვლელობის ისტორიას აღწერდა და პროკურატურას მკვლელის, ანუ გარდაცვლილის ძმის მფარველობაში ადანაშაულებდა. ჩვენ დავუკავშირდით გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურას, სადაც რამინ ხარატიშვილის მკვლელობის საქმეს იძიებდნენ.*

გამოძიების მასალების თანახმად, 2002 წლის 28 მარტს რამინ ხარატიშვილი სანზონაში თავის ძმას ზურაბ ხარატიშვილს ესტუმრა. როგორც ზურაბ ხარატიშვილის მეუღლემ ნინო კობიძემ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, მას მაზლი ქუჩაში შეხვდა, იგი სახლში აიყვანა და სუფრა გაუშალა. რამდენიმე საათში კი რამინ ხარატიშვილი გარდაიცვალა. ოჯახის წევრებმა სასწრაფოს გამოუძახეს. ექიმებმა გვამის გარეგნული დათვალიერებით დაასკვნეს, რომ პაციენტი ინფარქტის შედეგად გარდაიცვალა, რაზეც შესაბამისი დასკვნა გააფორმეს და წავიდნენ. როინ ხარატიშვილი ძმის ოჯახიდან საკუთარ სახლში მეორე დღეს გადაასვენეს.

ტანსაცმლის გამოცვლისას, ახლობლებმა მიცვალებულს ზურგის არეში დანით მიყენებული ჭრილობა შეამჩნიეს. ამის შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ როინ ხარატიშვილი ინფარქტით კი არ გარდაიცვალა, არამედ იგი მოკლეს. გარდაცვლილის შვილმა მამის მკვლელობის ფაქტზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურას მიმართა, სადაც აღნიშნულ ფაქტზე განზრახ მკვლელობის მუხლით საქმე აღიძრა. მკვლელობიდან რამდენიმე დღეშივე გაჩნდა ვერსია, რომ როინ ხარატიშვილი საკუთარმა ძმამ, წინა დღით ციხიდან გამოსულმა ზურაბ ხარატიშვილმა მოკლა, მაგრამ მისი დაკითხვა რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა, რადგან ძმის მკვლელობის შემდეგ ზურაბ ხარატიშვილი აღარავის უნახავს. მიუხედავად ამისა, ძმის მკვლელობაში ბრალდებულ ხარატიშვილს პროკურატურის მოთხოვნით, გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსამართლე ბიძინაშვილმა დაუსწრებლად სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ზურაბ ხარატიშვილი 2003 წლის 11 მაისს დააკავეს და იგი გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოში წინასწარი პატიმრობის ბრძანების დასადასტურებლად წაიყვანეს. მაგრამ მოსამართლე ბიძინაშვილმა გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებები უკვე საკმარისად აღარ მიიჩნია და იგი დარბაზიდან გაათავისუფლა.

რაიონის მოსამართლის გადაწყვეტილება პროკურატურამ საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და ზურაბ ხარატიშვილს კვლავ პატიმრობა შეუფარდეს. სწორედ ამ პროცესზე ზურაბ ხარატიშვილის ადვოკატმა მოსამართლეს წარუდგინა გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მოსამართლის ბიძინაშილის ბრძანება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ხარატიშვილს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო ხუთი დღით პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, რომელსაც შინაგან საქმეთა სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იხდიდა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ხუთდღიანი პატიმრობის დასრულების შემდეგ ხარატიშვილი საპყრობილეში უნდა გადაეყვანათ, მაგრამ პოლიციამ იგი გაუშვა. ამის შემდეგ ძმის მკვლელობაში ბრალდებულმა რამდენიმე თვით კვლავ შეძლო მიმალვა.

მიმდინარე წლის აგვისტოში წარსულში ექვსჯერ ნასამართლევი ზურაბ ხარატიშვილი სამართალდამცველებმა კვლავ დააპატიმრეს. გამოძიებამ საბოლოოდ დაასკვნა, რომ ზურაბ ხარატიშვილმა საკუთარ ოჯახში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე საკუთარ ძმას ზურგში დანა ჩაარტყა, რის შედეგადაც როინ ხარატიშვილი გარდაიცვალა. ამჟამად ძმის მკვლელობაში ბრალდებული ზურაბ ხარატიშვილის საქმე უზენაეს სასამართლოშია გადაგზავნილი. მის ბრალეულობაზე საბოლოო სიტყვას მართლმსაჯულება იტყვის.

Mercy Corps btc SCP South Caucasus Pipeline

უკვე 7 თვეა რაც მერსი ქორი და მისი ადგილობრივი პარტნიორები ელკანა, საერთაშორისო ფონდი კურაცია, საქართველოს ტექნიკური დახმარება, ფონდი კონსტანტა ქვემო ქართლში ახორციელებენ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას (სიპ), რომელიც არის BP-სა და მისი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) პროექტების მიერ დაფინანსებული სამწლიანი ინიციატივა. პროგრამის დანიშნულებაა მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სარეაბილიტაციო და სოფლის მეურნეობის პროექტებისა თუ მიკრო-კრედიტების მეშვეობით.

პროგრამა დაიწყო 2003 წლის მარტში და გაგრძელდება 2006 წლის თებერვლამდე.

პროგრამის დაწყებიდან დღემდე ყოველ თემში სამოქმედო დაგეგმვის შეხვედრების საფუძველზე შეიქმნა 25 თემის საინიციატივო ჯგუფი (თსჯ). ეს ჯგუფები წარმოადგენენ მთელი თემის ინტერესებს და აწვდიან თემის წარმომადგენლებს ინფორმაციას როგორც პროექტის განაცხადის მომზადებაზე, ასევე მასალების შეძენაზე, ფინანსურ საკითხებზე, პროექტის განხორციელებასა თუ სხვა. საინიციატივო ჯგუფებმა განახორციელა შემდეგი პროექტები:

- ექვსი სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია
- ხუთი ბუნებრივი გაზის სისტემის მოწყობა
- ორი გზის შეკეთება
- სამი საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია
- ექვსი სკოლის რეაბილიტაცია
- ერთი ახალი სკოლის მშენებლობა
- ერთი კლინიკის რეაბილიტაცია

მერსი ქორის წვლილი თითოეულ პროექტში საშუალოდ 65% შეადგენს, ხოლო თემის წვლილი კი საშუალოდ 35% წარმოადგენს პროგრამით მოთხოვნილი 25%-ის ნაგიერად. თემის წვლილი ძირითადად არის კვალიფიციური თუ არაკვალიფიციური მუშახელი, მასალები, ტრანსპორტირება, მუშების კვება და ხშირად ნაღდ ფულიც კი. პროექტის განხორციელების დაწყებამდე ყველა თემი გადის ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ტრენინგი. ამ ეტაპზე რამდენიმე სოფელი ამზადებს მეორე ეტაპის პროექტების განაცხადებს, ხოლო რამდენიმე კი უკვე ახორციელებს მათ.

სიპ-ის პარტნიორი, ფონდი კონსტანტა აყალიბებს სესხის მიმღებ ჯგუფებს. ამჟამად კონსტანტა მუშაობს რუსთავის, გარდაბანისა და მარნეულის რაიონებში. მათ უკვე ჩამოაყალიბეს 19 ჯგუფი და 79-მა მეწარმემ მიიღო სესხი.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში უკვე ყალიბდება ქვე-კომიტეტები, რომლებიც იმუშავებენ შემოსავლის გაზრდაზე, სოფლის მეურნეობისა თუ ენერგეტიკულ საკითხებზე. ყველა ქვეკომიტეტის საქმიანობა დაიგეგმება თემის საჭიროებიდან და სურვილებიდან გამომდინარე.

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** ტერორიზმის ბრალდებით ინტერპოლის მიერ 1995 წლიდან ძებნილი, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე დსთ-ს ერთ-ერთ ქვეყანაში იმყოფება, მაგრამ არა რუსეთში, - განუცხადა ოთხშაბათს პრაიმ-ნიუსს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს წარმომადგენელი არმაზ ახვლედიანი ხუთშაბათს სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ვენასა და სტრასბურგში გაემგზავრება, სადაც ეუთო-ს და ევროსაბჭოს გენერალურ მდივნებთან იან კუბიშსა და ვალტერ შვიმერთან საქართველოში 2 ნოემბერს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების საკითხებს განიხილავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოევის დღევანდელი ბრძანებულებით, „რესპუბლიკის" თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციათა მინისტრად 40 წლის ზელინ მულდაროვი დაინიშნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**კოდორი.** კოდორის ხეობის მოსახლეობა ზამთარში ევაკუაციას გადაურჩა. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა კოდორის ხეობის შტაბს ზამთრის მომარაგების პროგრამით გათვალისწინებული კუთვნილი 500 ათასიდან ლარიდან 300 ათასი უკვე გადაურიცხა. ამ დღეებში შტაბი საწვავის ხარჯებისთვის განკუთვნილ თანხებსაც ელოდება. მომავალი კვირიდან კი ხეობაში პროდუქტებს ეტაპობრივად შეიტანენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**კოდორი**. კოდორის ხეობაში პატრულირების აღდგენასთან დაკავშირებით ოთხმხრივი მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. თუმცა, მხარეები მოლაპარაკებების დეტალებს არ ახმაურებენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, პატრულირება უსაფრთხოების დამატებითი ნორმების დაცვით აღდგება და, ტრადიციულად, კვირაში ერთხელ განხორციელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „დემოკრატიული აღორძინების კავშირის" პარტიული ყრილობის გამართვის საკითხი, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში გაირკვევა. თუ პირველ ოქტომბრამდე პარტიის ყრილობის ჩატარება ვერ მოესწრება, მაშინ პარტიის საარჩევნო სიის საბოლოო ვარიანტი კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად, ცესკო-ს პირდაპირ წარედგინება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**გალი.** გალის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონებში აფხაზი სეპარატისტები "საქართველოსთან საზღვარსა" და საგუშაგოებს ამაგრებენ. ამ თემაზე „ვიცე-პრეზიდენტი" ვალერი არშბა სეპარატისტული ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს ეთათბირა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა არშბას აცნობეს, რომ „დამოუკიდებლობისთვის ომში გამარჯვების" მეათე წლისთავის წინა დღეებში განსაკუთრებულად არის დაცული კოდორის ხეობის ქვედა ნაწილი და ხეობის უღელტეხილები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, "სოციალისტთა" ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი აშშ-ში ერთკვირიან ოფიციალურ ვიზიტს განაგრძობს. ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან ლინი პასკოსთან შეხვედრაზე მან საქართველო-რუსეთ-ამერიკის "ჯვარისებრი ვექტორების კონცეფციის" პრეზენტაცია მოაწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კოკა-კოლას" პრეზიდენტი თემურ ჭყონია 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე მთაწმინდის რაიონში მხარს "ბურჯანაძე - დემოკრატების" ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს გიგი წერეთელს დაუჭერს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დანიელი ექსპერტების აზრით, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას, შესაძლოა, 10 წელიწადი დასჭირდეს. 10 წლის შემდეგ კი არ არის გამორიცხული, რომ ნატო-ს ფუნქციები შეიცვალოს და იგი საქართველოს დაინტერესების ობიექტი აღარ იყოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ბაღდათში თამაზ ჭულუხაძე თავისი კუთვნილი მაღაზიის ქურდობის ფაქტს შეესწრო. ჭულუხაძემ მაღაზიის გაქურდვის დროს იმავე რაიონში მცხოვრებ ლევან გუმბერიძეს წაასწრო, რომელიც დანაშაულის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა.

გუშინ პოლიციამ აღნიშნული ეჭვმიტანილის ბინა გაჩხრიკა და ახალი დანაშაული გამოავლინა. ლევან გუმბერიძის ძმას, 21 წლის გიორგი გუმბერიძეს სახლში «ფ-1" სისტემის ხელყუმბარა აღმოაჩნდა, ასევე ამოიღეს გისოსების საჭრელი მაკრატელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** პოლიციამ ეკლესიის ქურდი დააკავა. რამდენიმე დღის წინ წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩირში, წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესიაში ქურდობა მოხდა, ბოროტმოქმედმა ეკლესიიდან შეწირულობის თანხა გაიტაცა.

წყალტუბოს პოლიციის განცხადებით, დააკავეს ქურდობაში ეჭვმიტანილი, ამავე რაიონში მცხოვრები რატი ჩხობაძე, რომელსაც აღმოაჩნდა წმინდა კვირიკეს ეკლესიიდან გატაცებული შეწირულობის თანხა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის პოლიციის სამმართველომ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის – «ანტინარკომანია-2003"-ის განმავლობაში გამოავლინა ნარკომანიის 4 ფაქტი. კვირეული, შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ბრძანების თანახმად, 17 სექტემბერს დაიწყო და 24 სექტემბერს დასრულდა,.

კვირეულის პერიოდში დაკავებულია სამი ძებნილი - გოჩა ზარიძე და მამუკა გუბელია, რომელთაც ბინის ქურდობა ედებოდათ ბრალად და დავით ნატაშვილი, რომელმაც თვითნებურად მიატოვა სამხედრო ნაწილი და თელავის რაიონში იმალებოდა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, [illegible] შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფონდი "ქართული ხარისხი" ხვალ საუკეთესო ქართული პროდუქციის მწარმოებელ სამ კომპანიას გამოავლენს, რომელთაც ფონდის ხარისხი ერთი წლით მიენიჭებათ. ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ეკა ბაბუნაშვილის განმარტებით, "საქსტანდარტში", ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და ფონდ "ქართულ ხარისხში" ექსპერტიზის გავლის შემდეგ საუკეთესოდ "ქართუ უნივერსალის" ნაყინი, "სანტე უოლშ პროდუქტების" ხაჭო, არაჟანი და მაწონი, "სავანეთის" კვერცხი, "ტრიუმფის" არაყი და ლიქიორი დასახელდა. საუკეთესო მომსახურებისათვის კი ქართული ხარისხის ნიშანდება ინტერნეტ-მაღაზია "შობჯიქომს" და "კანარგო სტანდარტ ოილს" მიენიჭა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი ფინანსთა სამინისტროს "ხუდონჰესის" რეაბილიტაციისათვის 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 5 მლნ. ლარის გათვალისწინებას სთხოვს. მისი განცხადებით, ფინანსთა სამინისტროსთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ამ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებასთან დაკავშირებით. ნიკოლაიშვილის თქმით, სამინისტრომ ზამთრისთვის მზადება რეალურად უკვე დაიწყო და თბილისს ელექტროენერგია ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მოეწოდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ალოობა დასრულდა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინფორმაციით, წლეულს ხორბალი სულ 117.409 ჰექტარზე იყო დათესილი. აქედან მიღებულია 223.903 ტონა ხორბალი, რაც შარშანდელთან შედარებით 22 ათასი ტონით მეტია. საშუალო მოსავლიანობამ ერთ ჰექტარზე 1.9 ტონა შეადგინა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მშრომელთა პროფესიული კავშირის "სოლიდარობის" განცხადებით, ზესტაფონისა და თერჯოლის ქვესადგურის თანამშრომლებმა სასამართლო პროცესი მოიგეს, რითაც "სახელმწიფო ელექტროსისტემას" მათ მიმართ დაგროვებული სახელფასო დავალიანების გადახდა დაეკისრა. დავალიანების გაუცემლობის შემთხვევაში ენერგეტიკოსები გაფიცვის დაწყებით იმუქრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანულ-ქართული გარე განათების ერთობლივი საწარმოს მშენებლობა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების გამო გადაიდო. ქალაქგანათების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ კვიჟიძის განცხადებით, წინადადებები საწარმოს შექმნის და პროდუქციის წარმოების შესახებ უკვე შეთანხმებულია, მაგრამ პროექტის განხორციელება ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ გადადო. გარე განათების მწარმოებელი ქარხნის აშენება ორხევშია ნავარაუდევი **ინტერ-პრესი**

# დაუფინანსებლობა არჩევნების ჩატარებას საფრთხეს უქმნის

პირველი გვერდიდან

მეთოდებით დაამყაროს: **"ეს იმის მაუწყებელია, თუ რა შეტყობინება უგზავნის სახელმწიფო თითოეულ ამომრჩეველს. პოლიციის ყაზარმულ რეჟიმზე გადაყვანა ამომრჩევლის დაშინებისა და სიტუაციის ისე წარმოჩენის მცდელობაა, თითქოს არჩევნები მოქალაქის მიერ საკუთარი კონსტიტუციური უფლების გამოხატვის საშუალება კი არა, ლამის საომარი მდგომარეობის ტოლფასი რამ იყოს. ასეთი შეტყობინება ამომრჩეველს არჩევნებზე მისვლის ხალისს დაუკარგავს."**

"სამართლიანი არჩევნები" უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ საოლქო კომისიათა უმრავლესობა მერიებისა და გამგეობების შენობებშია განთავსებული. მართალია, საარჩევნო კოდექსი ამას არ კრძალავს, მაგრამ ორგანიზაცია შიშობს იმის გამო, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები ადგილობრივი ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოექცევიან. ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, დიდ ქალაქებში მაინც იყო იმის შესაძლებლობა, რომ საოლქო კომისიები "ნეიტრალურ" შენობებში განთავსებულიყო.

ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" გაუგებრობას უწოდებს სახელმწიფო დაცვის ადმინისტრაციულ შენობაში №21 უბნის გახსნის ფაქტს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის სულხან პაპაშვილის თხოვნა სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში თანამშრომლებისთვის სპეციალური საარჩევნო უბნის გახსნის თაობაზე. ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საარჩევნო კოდექსი მსგავს შემთხვევებს არ ითვალისწინებს.

"სამართლიანი არჩევნები" ყურადღებას არ ადუნებს. იგი არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელებას აჭარაშიც აპირებს.

# ნინო ბურჯანაძე ლევან მამალაძის "სამფლობელოში" "შეიჭრა"

პირველი გვერდიდან

ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერს პირველი სიურპრიზი პირველივე თავყრილობაზე ელოდა. მისი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, პირველად მოხდა, რომ კაზრეთში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს დარბაზი მხოლოდ სანახევროდ გაივსო.

**"სოფელ ბალიჭთან გზა გადაკეტეს, ტრასა გადათხარეს და ვითომ ასფალტის საფარის დაგების გამო სატრანსპორტო საშუალებებს კაზრეთისკენ წამოსვლის საშუალება არ მისცეს. იძულებულები გავხდით, ფეხით წამოვსულიყავით,"** - განაცხადეს "24 საათთან" საუბარში საკმაოდ მოზრდილი ჯგუფის წევრებმა, რომლებმაც ბურჯანაძესთან გამართული შეხვედრის მხოლოდ დასკვნით ნაწილს მიუსწრეს.

**"თქვენამდე მოტანილი მართალი სიტყვა მაინც მივა დანარჩენ მოსახლეობამდე. თქვენი აქ მოსვლა უკვე ნიშნავს, რომ არსებულ ვითარებას არ ეგუებით და გინდათ, ქვეყანა უკეთესობისკენ შეიცვალოს,"** - აუდიტორიის მცირერიცხოვნობის გამო იმედგაცრუება არ უგრძვნია პარლამენტის თავმჯდომარეს.

კაზრეთში გამართული შეხვედრის დროს, ადგილობრივი პრობლემატიკის "მიმოხილვის" შემდეგ ნინო ბურჯანაძემ ვრცლად ისაუბრა იმ შთაბეჭდილებებზეც, რომელიც მასზე სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების პრეზენტაციამ მოახდინა.

**"ჩემთვის ვიფიქრე, ერთი, პრეზიდენტის გულში ჩამახედამეთქი, ეს ხალხი რომ შემოიკრიბა, ნეტავ, რისი იმედი აქვს? ამ ხალხის აღზევებით უნდა ქვეყნის გადარჩენა? ეს ხალხია საქართველოს მომავალი?"** - ერთდროულად ირონიასა და გაწბილებას "აფრქვევდა" პარლამენტის თავმჯდომარე, რომელსაც არ დაუმალავს, რომ პრეზიდენტისა და ხელისუფლების იმედი საბოლოოდ გადაეწურა და მხარდაჭერას მხოლოდ ამომრჩევლისგანღა ელოდება.

კიდევ ერთი სიურპრიზი, ამჯერად სასიამოვნო, ნინო ბურჯანაძეს ბოლნისში დახვდა. დახვდა - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ბოლნისის თეატრის შენობაში შეკრებილ საზოგადოებაში თვალშისაცემი იყო რაიონის გამგებლის ზურაბ ჯაფარიძის პერსონა. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ასეთი "პატივი" პარლამენტის თავმჯდომარეს არც ერთ სხვა რაიონში არ რგებია. თუმცა, ბევრ რამეს შეხვედრის დაწყებისთანავე მოეფინა ნათელი: რამდენიმე გამომსვლელი გულმოდგინედ შეეცადა იმ "ღვაწლის" წარმოჩინებას, რომელიც ბოლნისის გამგებელმა და ქვემო ქართლის აწ უკვე ყოფილმა გუბერნატორმა რეგიონის სასიკეთოდ გასწიეს.

შეხვედრის პროსახელისუფლებო კალაპოტში გადაყვანის მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერის კრიტიკული პათოსი ოდნავაც არ გაუნელებია.

სხვათა შორის, ბოლნისელების წინაშე გამოსვლის დროს ნინო ბურჯანაძემ, საკმაოდ მოულოდნელად, 1998 წლის გალის მოვლენებიც გაიხსენა. **"მაშინ ბიჭების ნახევარი მხოლოდ იმიტომ ჩაიხოცა, რომ კონკრეტულმა პირებმა ტყვია-წამლის შესაძენი ფული შეჭამეს,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ხუთი წლის წინანდელი ამბების თხრობისას სპიკერი ასეთ შემთხვევას იხსენებს: **"მაშინ, დილის ხუთ საათზე ჩემს ქმარს, სამხედრო პროკურორს, ერთ-ერთმა სამხედრო მეთაურმა დაურეკა და სთხოვა: საწყობისთვის, სადაც უვარგისი ჩეხური იარაღი ინახებოდა, ლუქი აეხსნა და მებრძოლებისთვის გაეგზავნა. როდესაც ბადრიმ მას შეახსენა, რომ ამ იარაღის თითქმის ნახევარი საბრძოლო პირობებისთვის გამოუსადეგარი იყო, სამხედრო მეთაურმა ლამის ცრემლმორეულმა უპასუხა: არა უშავს, ნახევარი მაინც ხომ ისვრისო."**

ბოლნისელების წინაშე გამოსვლისას ნინო ბურჯანაძემ ადგილობრივ მოსახლეობას მაჟორიტარ დეპუტატად კობა დვალიშვილის მხარდაჭერაც სთხოვა. იმის შეტყობას, შეძლებს თუ არა ეს უკანასკნელი ადგილობრივი "გრანდის", ლევან მამალაძის "წაქცევას", თვეზე ცოტა მეტი დრო სჭირდება.

# ალექსეი ვაშჩენკო მალხაზ კაკაბაძეს, თამაზ ნადარეიშვილსა და ავთანდილ იოსელიანს დაპატიმრებას უპირებს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის პარლამენტის გეოპოლიტიკის კომისიის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სამუშაო ჯგუფის უფროსი ალექსეი ვაშჩენკო ამტკიცებს, რომ თბილისმა შეგნებულად ჩაშალა აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებები და ამაზე ბრძანება შევარდნაძის კანცელარიიდანაა წამოსული. უფრო მეტიც, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებების ჩაშლის ერთ-ერთი ინიციატორი, როგორც ვაშჩენკო ამტკიცებს, საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძეცაა.

ალექსეი ვაშჩენკო: ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ქართული მხარე ცეცხლის განუახლებლობაზე მოლაპარაკებებს საომარი გზით პრობლემის გადაჭრას არჩევს. აფხაზეთში არ დავიწყებიათ ივნისის თვეში ხაბურძანიას მიერ გაკეთებული განცხადება აფხაზეთის საქართველოს წიაღში ომის გზით დაბრუნებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ ეს ქართველი ქორების მორიგი პიარაქციაა, რითიც ამომრჩევლის გულის მოგებას ცდილობენ. აფხაზეთის სპეცსამსახურებმა დაუყოვნებლივ უნდა განიხილონ საკითხი ამ ინიციატივის ავტორთა დაპატიმრებაზე მაშინ, როცა ისინი აფხაზეთში ჩამობრძანდებიან. ქართული მხარე მიზანმიმართულად შლის მოლაპარაკებების პროცესს, რომელიც გაერო-ს ეგიდით უნდა წარმართულიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი დემარშით ქართული მხარე გაერო-ს გალიზიანებასაც გამოიწვევს.

# თავდაჯერებული პოლიტიკოსი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ერთი წლის შემდეგ ვითარება საკმაოდ დაიძაბება", - აცხადებს ვაჟა ლორთქიფანიძე.

ზურა ჭამასპიშვილი

გუშინ კლუბ "სარდაფში" გამართული "აპოლიტიკური" შეხვედრის სტუმარი იყო ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ლიდერი ვაჟა ლორთქიფანიძე. როგორც სტუმარმა განაცხადა, საკმაოდ ჩვეულებრივი ბავშვობა ჰქონია. ექიმობა უნდოდა, საბოლოოდ პოლიტოლოგ-ისტორიკოსი გამოვიდა და ახლა ბაღდათის დეპუტატობას აპირებს.

ვაჟა ლორთქიფანიძე ხელოვნების მოყვარული აღმოჩნდა: ესწრება სპექტაკლებს, განსაკუთრებით უყვარს "კავკასიური ცარცის წრე" და უსმენს გია ყანჩელის მუსიკას.

იმის გამო, რომ შეხვედრა "აპოლიტიკურია", კლუბის გუშინდელ სტუმარს მხოლოდ შეხვედრის ბოლოს მიეცა პოლიტიკური განცხადებების გაკეთების საშუალება. აღმოჩნდა, რომ 30 სექტემბერს მოეწყობა პარტიული სიების პრეზენტაცია და თავად ვაჟა ლორთქიფანიძე კვლავინდებურად სიის ლიდერი იქნება. "არ მიყვარს პლაკატები, წინასაარჩევნო კლიპები, მთავარია გქონდეს იმის გაკეთების უნარი, რასაც ხალხს ჰპირდები, უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის."

შეხვედრის ბოლოს თავდაჯერებულმა სტუმარმა ოპტიმისტური პროგნოზი გააკეთა: **"ერთი წლის შემდეგ ვითარება საკმაოდ დაიძაბება, თუმცა საქართველოში რა სუსტი ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს, ჩვენი ქვეყანა მაინც აღორძინდება."** კლუბის შემდეგი სტუმარი ლეიბორისტების ახალი სახე რეზო ჩხიკვიშვილი იქნება.

# აფხაზებს დაჭერის შეშინებიათ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ 23 სექტემბერს, თბილისში, გაერო-ს ეგიდით დაგეგმილი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ჩაშლის კომენტირებისას ქართული მხარე დაადანაშაულა იმაში, რომ ასეთი შეხვედრებისათვის ნორმალურ ატმოსფეროს არ ქმნის. "როგორ შეიძლება თბილისში ჩამოსვლაზე და მოლაპარაკებებზე საუბარი, როდესაც რამდენიმე საათით ადრე ოფიციალური პირები საქართველოს ტელევიზიით აფხაზური დელეგაციის წევრების დაპატიმრების მოწოდებით გამოდიან," - განუცხადა პრაიმ-ნიუსს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

ამავე დროს, როგორც დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა ოთხშაბათს პრაიმ-ნიუსს განუცხადა, საქართველოს ხელისუფლება არ განიხილავდა აფხაზური დელეგაციის წევრების დაპატიმრების შესაძლებლობას.

მისი თქმით, აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელის სერგეი შამბას დაპატიმრების წინადადება კერძო პოზიცია იყო, რომელიც აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების მეთაურმა თამაზ ნადარეიშვილმა ჟურნალისტებთან ინტერვიუში დააფიქსირა.

დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ისიც თქვა, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურას საკმარისი მასალები აქვს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს და მის შემდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა დასაკავებლად როგორც აფხაზური, ისე ქართული მხრიდან.

სერგეი შამბას გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა და პრეზიდენტის თანაშემწე ასტამურ ტანია.

*პრაიმ-ნიუსი*




## დიდძალი კონტრაბანდული იარაღი გასაყიდად იყო გამზადებული

უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, დიღმის მასივში მდებარე საცხოვრებელი სახლის მახლობლად დააკავეს 36 წლის გიორგი ბარბაქაძე, რომელსაც მანქანაში მთელი არსენალი აღმოაჩნდა: დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი მოწყობილობები და მასალები, არაკონვენციური (ანუ ისეთი, რომელსაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იყენებენ) ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი და, რაც მთავარია, სპეცშეიარაღება.

უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის ნიკა ლალიაშვილის თქმით, ყველაზე შემაშფოთებელი სწორედ ის გახლავთ, რომ ბარბაქაძეს სპეცდანიშნულების დანაყოფების შეიარაღებაში არსებული ნივთები აღმოაჩნდა, მათ შორის - მაყუჩიანი პისტოლეტები. როგორც წინასწარი მონაცემებით ირკვევა, მთელი ეს არსენალი საქართველოში სხვა ქვეყნიდანაა შემოტანილი - რომლიდან, ამის გახმაურებას უშიშროების სამინისტროში ჯერ ნაადრევად მიიჩნევენ. სამაგიეროდ, დანამდვილებით აცხადებენ, რომ იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები შემდგომი რეალიზაციის მიზნით იქნა შემოტანილი და ეს არ არის ბარბაქაძისთვის მსგავსი ბიზნესის წარმოების პირველი შემთხვევა.

თბილისის უშიშროების სამმართველომაც ბარბაქაძის დაკავების პარალელურად ჩაატარა სპეცოპერაცია და დამნაშავეთა ჯგუფიც დააკავა, რომელსაც ბიოფეთქებადი ქიმიური შენაერთები, ეგრეთ წოდებული "ნაპალმი" აღმოაჩნდათ. წინასწარი ინფორმაციით, ესეც გასაყიდად გამიზნული.

ნიკა ლალიაშვილის თქმით, ქიმიური ნივთიერებები ექსპერტიზაზეა გაგზავნილი, დაკავებულები – უშიშროების სამინისტროს იზოლატორში.

უშიშროების სამინისტროშივე აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები დაკავებულთა მიმართ და ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება მათი თანამონაწილეებისა და იარაღის პოტენციური მყიდველების დადგენის მიზნით.

## კვლავ სახელფასო პრობლემა

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში ხელფასების დაგვიანებით უკმაყოფილო თანამშრომელთა პრეტენზიას გაგებით ეკიდებიან, თუმცა უხელფასობას ობიექტური მიზეზებით ხსნიან - ორგანიზაციის ანგარიშებს, საგადასახადო ინსპექციისა და კრედიტორების მიმართ არსებული დავალიანებების გამო, ყადაღა ადევს. ძველი დავალიანებების დაფარვის ვალდებულება კომპანიამ თავის თავზე აიღო და აუცილებლად გაისტუმრებს, თუმცა ამას დრო სჭირდება, - აცხადებენ კომპანიის ირლანდიელი მმართველები. ელექტროსისტემის ზესტაფონისა და თერჯოლის ქვესადგურების თანამშრომლები კი, ხელფასების მოთხოვნით, გაფიცვას აპირებენ. მათ მხარს უჭერს პროფკავშირი სოლიდარობა. სოლიდარობაში ამბობენ, რომ ზესტაფონისა და თერჯოლის ქვესადგურის თანამშრომლებმა სასამართლო პროცესი მოიგეს, რითაც სახელმწიფო ელექტროსისტემას მათ მიმართ დაგროვებული სახელფასო დავალიანების გადახდა დაეკისრა, თუმცა მიმდინარე ხელფასები ჯერაც არ გაუცია. **ინტერ-პრესი**

# აფხაზებმა ქართველი მოხუცი უკანონოდ გაასამართლეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორი დღის წინ აფხაზურმა სამხედრო სასამართლომ 83 წლის ქართველი, გიორგი ნანავა ტერორიზმის ბრალდებით გაასამართლა და მას ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა გიორგი ნანავა სამი თვის წინ დააკავა. ქართული მხარე 83 წლის მოხუცის დაკავებას და თანაც მისთვის წაყენებულ უმძიმეს ბრალდებას თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა. ქართველები ამტკიცებდნენ, რომ ნანავა უკანონოდ დააკავეს და ქართული მხარისთვის მის გადმოცემას კატეგორიულად მოითხოვდნენ. თუმცა, ამ მოთხოვნიდან არაფერი გამოვიდა. ბოლო პერიოდში ჭუბურხინჯში გამართულ არც ერთ შეხვედრას არ ჩაუვლია ისე, რომ ქართველებს აფხაზი სეპარატისტების მიერ დაკავებული ნანავას გადმოცემის საკითხი არ დაეყენებინათ. ქართული მხარე მთელი ამ ხნის განმავლობაში აფხაზებს სთხოვდა, შეეშვათ სოხუმის წინასწარი დაკავების საკანში მყოფ ნანავასთან ქართველი ადვოკატი. თუმცა, ორდერგაფორმებულ ქართველ ადვოკატს დაკავებულის მონახულებასა და მისი ინტერესების დაცვის განხორციელებაზე კატეგორიული უარი განუცხადეს.

ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმნის მკვიდრი გიორგი ნანავა აფხაზებმა გულრიფშის რაიონის სოფელ ფშაფში დააკავეს. აფხაზური მხარის მტკიცებით, ნათესავების მოსანახულებლად აფხაზეთში ჩასულ მოხუცს ე.წ. "შაჰიდის ქამარი" და 1,5 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩნდა. მათივე მტკიცებით, სწორედ ნანავას საშუალებით გეგმავდნენ ქართული სპეცსამსახურები აფხაზეთის ტერიტორიაზე ხალხმრავალ ადგილებში აფეთქებების განხორციელებას. აფხაზები დღემდე თავგამოდებით ირწმუნებიან, რომ 83 წლის მოხუცს აფხაზეთის ტერიტორიაზე რვა ტერაქტი უნდა განეხორციელებინა. **"ჩვენი მონაცემებით, გიორგი ნანავას აფეთქებები უნდა განეხორციელებინა ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი თავშეყრის ადგილებზე, რისთვისაც მას 3 ათას დოლარს შეჰპირდნენ. მცირე შესვენების შემდეგ კი ანალოგიური აქცია უნდა განხორციელებულიყო სოჭში ან ადლერში,"** - აცხადებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსი გივი აგრბა. მისივე განცხადებით, ნანავამ დაკითხვისას აღიარა, რომ აღნიშნული აქცია ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ერთ-ერთ ძალოვან სტრუქტურაში დაიგეგმა. კერძოდ, აგრბას მტკიცებით, დაკავებულს დაკითხვისას უთქვამს - აქციის უშუალო ორგანიზატორი აფხაზეთის უშიშროების მინისტრი ლევან კიკნაძეა და კონსულტაციები სწორედ მასთან გავიარეო.

აფხაზური სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის რომან მუშბას მტკიცებით, სასამართლოზე, რომლის ყველა სხდომას გაერო-ს სოხუმის ოფისის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ნანავამ აღიარა სახელმწიფო საზღვრის უკანონო დარღვევა, იარაღის უკანონო ტარება და ასაფეთქებელი ნივთიერებების აფხაზეთის ტერიტორიაზე გასაღება. აფხაზური სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ვინ დაუგეგმა და დაავალა ნანავას აფხაზეთის ტერიტორიაზე ტერაქტების განხორციელება.

ქართული მხარე აფხაზების ფანტაზიის ნაყოფს უწოდებს 83 წლის ქართველისთვის წაყენებულ მძიმე ბრალდებას და ამ ბრალდებასთან აფხაზეთის უშიშროების მინისტრის კავშირს.

**"გიორგი ნანავა უკანონოდ რომ დააკავეს, ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო. საეჭვოდ მივიჩნიეთ ის ფაქტი, რომ აფხაზი სამართალდამცველები ქართველ კოლეგებთან კავშირზე არ გამოსულან და, სხვა შემთხვევების მსგავსად, ერთობლივი გამოძიება არ უთხოვიათ. უკანონობას რომ აქვს ადგილი და ქართველთა დევნა-შევიწროვებას, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ აფხაზებმა ნანავას საქმეში ჩახედვის საშუალება არ მოგვცეს. ჩვენმა პრეტენზიებმა და მოთხოვნებმა უშედეგოდ ჩაიარა. ქართველ მოხუცს, რომელსაც კანონით ჰქონდა უფლება, ჰყოლოდა ქართველი ადვოკატი, იძულებით დაუნიშნეს აფხაზი. გიორგი ნანავა უკანონოდ გაასამართლეს და პატიმრობაც უკანონოდ მიუსაჯეს. ამ ყველაფერს ჩვენ სათანადო შეფასებას მივცემთ, შეტყობინებას გავაგზავნით განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროში. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველი ბერიკაცი აფხაზურ ციხეში არ დავტოვოთ",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორმა მებრძოლი ჭკადუამ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფონდი "ქართული ხარისხი" დღეს გამოავლენს და ფონდის ხარისხს მიანიჭებს საუკეთესო ქართული პროდუქციის მწარმოებელ სამ კომპანიას. ნიშანდება კომპანიებს ერთი წლის განმავლობაში ექნებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა "დეზერტირების" ბაზრობის ტერიტორიაზე ღამის ვაჭრობის გასაუქმებლად სპეციალური რეიდების ჩატარებას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამასი არაგველის ხსენების დღესთან დაკავშირებით 28 სექტემბერს ჟინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე სამასი არაგველის აღდგენილი მემორიალის საზეიმო გახსნა გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმოებულ გაჩერების პავილიონებს მოსკოვის ქუჩებში დაამონტაჟებენ. ეს აჭარასა და მოსკოვს შორის დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმის ერთ-ერთი ნაწილია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე ტრიქინელოზის ორი შემთხვევა გამოვლინდა. ინფიცირებული ღორის ხორცი ბაზრის ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიაში გამოკვლევის შედეგად აღმოაჩინეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის ვეტგაერთიანების თანამშრომლებმა ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიიდან 130 კილოგრამი, საკვებად უვარგისი შებოლილი თევზი – სიგა ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

# საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის სატრანსფერტო ანგარიშზე 2003 წლის იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით წარმოებული ფინანსური ოპერაციების მონაცემები

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (სესბ) აგრძელებს სატრანსფერტო ანგარიშზე მოძრავი ფინანსური ნაკადის მონაცემების გამოქვეყნებას. აღნიშნულ ცხრილებში მოცემულია ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ 2003 წლის იანვრიდან აგვისტოს თვის ჩათვლით წარმოებული ფინანსური ოპერაციების მიმდინარეობა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილებით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ თავად გაეცნონ სატრანსფერტო ანგარიშზე შემოსული თანხების ოდენობასა და აგრეთვე, ამ თანხების გენერაციისა და მომსახურეობის ობიექტებზე განაწილების პროცესს. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი ივნისიდან აგვისტოს თვის ჩათვლით 56%-ით გაზარდა. აგვისტოდან ოქტომბრამდე ნავარაუდევია 5-10%-იანი ზრდა. სესბმა, ასევე ერთმანეთისგან გამიჯნა განაწილებისა და საგადასახადო ვალდებულებებისთვის განკუთვნილი თანხები. მსგავსი შედეგი, შეიძლება ითქვას, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საქმიანობისას პირველად დაფიქსირდა. შესაბამისად გაუმჯობესდა გენერაციისა და მომსახურეობის ობიექტების დაფინანსება და შემოდგომა-ზამთრის პროგრამისთვის საჭირო ფინანსების მობილიზაცია.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები იყო და ყოველთვის იქნება ბაზრის წევრთა თანასწორუფლებიანობა, მათ მიმართ სესბის სამართლიანი დამოკიდებულება და რაც ყველაზე მთავარია, საქმიანობის გამჭვირვალობა.

### სესბ-ის სატრანსფერტო ანგარიშიდან გასული თანხები

| | დასახელება | საწყისი ნაშთი | გადახდა 2003 წლის დარიცხვის მიხედვით | | | | სულ გადახდილი გასული წლების გათვალისწინებით | | | | დავალიანება პერიოდის ბოლოს | | წინასწარ გადახდილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დარიცხვა | ფული | სხვა გადახდა | ფულის % დარიცხვაში | ფული | სხვა გადახდა | სულ გადახდილი | დარიცხვის კორექტირება | დავალიანება | ვალის ცვლილების % | |
| 211 | ენგურჰესი | 119,131,986 | 29,663,076 | 7,896,669 | - | 27% | 7,896,669 | - | 7,896,669 | - | 140,898,393 | 18% | - |
| 212 | ვარდნილჰესი | 11,989,927 | 2,670,323 | 797,884 | - | 30% | 797,884 | - | 797,884 | - | 13,862,366 | 16% | - |
| 201 | ვარციხჰესი | 24,788,552 | 5,530,632 | 757,919 | - | 14% | 757,919 | - | 757,919 | 26,044 | 29,587,308 | 19% | - |
| 225 | ძევრულჰესი | 2,833,525 | 1,310,982 | 616,573 | 421,500 | 47% | 616,573 | 479,500 | 1,096,073 | - | 3,048,435 | 8% | - |
| 204 | რიონჰესი | 10,646,277 | 2,581,646 | 589,781 | - | 23% | 589,781 | - | 589,781 | 6,315 | 12,644,456 | 19% | - |
| 207 | შაორჰესი | 3,337,318 | 1,413,314 | 594,261 | - | 42% | 594,261 | - | 594,261 | 181 | 4,156,552 | 25% | - |
| 200 | გუმათჰესი | 5,736,764 | 1,512,393 | 465,577 | - | 31% | 465,577 | - | 465,577 | 28,446 | 6,812,027 | 19% | - |
| 203 | ლაჯანურჰესი | 6,877,526 | 1,693,292 | 872,701 | - | 52% | 931,701 | - | 931,701 | - | 7,639,117 | 11% | - |
| 221 | ხრამჰესი | 325,637 | 347,340 | 48,752 | - | 14% | 48,752 | - | 48,752 | - | 624,225 | 92% | - |
| 213 | ჟინვალჰესი | 2,028,525 | 370,444 | 77,450 | - | 21% | 77,450 | - | 77,450 | - | 2,321,519 | 14% | - |
| 409 | მუნლეიკ ჯეორჯია | 960,756 | 327,472 | 164,513 | - | 50% | 164,513 | - | 164,513 | - | 1,123,715 | 17% | - |
| 205 | რიცეულაჰესი | 574,965 | 228,605 | 45,077 | - | 20% | 45,077 | - | 45,077 | 12,499 | 770,991 | 34% | - |
| 235 | ტირიფონჰესი | 12,444 | 57,523 | 21,551 | - | 37% | (13,959) | - | (13,959) | - | 83,926 | 574% | - |
| 231 | დაშბაშჰესი | 100,984 | 79,509 | 20,917 | - | 26% | 20,917 | - | 20,917 | 100,983 | 260,559 | 158% | - |
| 243 | მაშავერაჰესი | 7,413 | 33,568 | 1,000 | 20,381 | 3% | 1,000 | 20,381 | 21,381 | - | 19,600 | 164% | - |
| 412 | ხადაჰესი (ქინძმარაული) | 103,255 | 113,170 | 13,982 | - | 12% | 13,982 | - | 13,982 | - | 202,443 | 96% | - |
| 229 | აბჰესი | 90,828 | - | - | - | | 16,500 | - | 16,500 | - | 74,328 | -18% | - |
| 198 | აწჰესი | 234,043 | - | - | - | | 15,000 | 5,348 | 20,348 | - | 213,695 | -9% | - |
| 199 | ბჟუჟაჰესი | 179,055 | - | - | - | | - | - | - | - | 179,055 | 0% | - |
| 222 | ჩითახევჰესი | - | - | - | - | | - | - | - | - | - | | - |
| 208 | სიონჰესი | 221,216 | 4,700 | 4,700 | - | 100% | 21,138 | - | 21,138 | - | 204,778 | -7% | - |
| 242 | ინწობაჰესი | (7,790) | 56,990 | 16,080 | 11,455 | 28% | 500 | 19,245 | 19,745 | - | 29,455 | | - |
| 209 | კაბალჰესი | - | - | - | - | | - | - | - | - | - | | - |
| 202 | კახარეთჰესი | - | - | - | - | | - | - | - | - | - | | - |
| 218 | მარტყოფჰესი | 33,217 | - | - | - | | - | - | - | 33,217 | 66,433 | 100% | - |
| 236 | მექვენაჰესი | 8,946 | - | - | - | | - | - | - | - | 8,946 | 0% | - |
| 220 | საცხენჰესი | 679,775 | 57,756 | 25,361 | - | 44% | 25,361 | - | 25,361 | 3,993 | 716,163 | 5% | - |
| 234 | სქურჰესი | 74,485 | 4,999 | 4,999 | - | 100% | 15,221 | - | 15,221 | - | 64,263 | -14% | - |
| 421 | ენტო (მისაქციელჰესი) | - | 105 | - | - | 0% | - | - | - | - | 105 | | - |
| 422 | (ალაზანი,მარტყოფი) | - | 15,139 | - | - | 0% | - | - | - | - | 15,139 | | - |
| 245 | ეი-ი-ეს მტკვარი | 46,187,206 | 19,703,832 | 13,014,371 | 1,055,039 | 66% | 13,014,371 | 1,055,039 | 14,069,410 | 14,116,418 | 65,938,045 | 43% | - |
| 214 | თბილსრესი | 7,142,106 | 945,669 | 916,780 | 69,679 | 97% | 2,047,761 | (3,236,783) | (1,189,022) | - | 9,276,796 | 30% | - |
| 215 | თბილტეცი | 1,467,592 | - | - | - | | - | - | - | - | 1,467,592 | 0% | - |
| 328 | ელექტროსისტემა | 157,232,446 | 32,951,889 | 4,779,688 | - | 15% | 4,779,688 | 147,231 | 4,926,918 | 4,202,927 | 189,460,343 | 20% | - |
| 246 | საქრუსენერგო | 33,570,533 | 6,366,576 | 1,205,295 | - | 19% | 1,205,295 | - | 1,205,295 | 211,497 | 38,943,310 | 16% | - |
| 186 | საქრუსენერგო (იმპორტი) | (1,989,918) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (1,989,918) |
| 190 | საქენერგოგენერაცია | (82,897) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (82,897) |
| 189 | პონტოლი | 905,093 | - | - | - | | 59,900 | 10,200 | 70,100 | (150) | 834,843 | -8% | - |
| 403 | ჰიდროპროექტი | 148,582 | - | 4,000 | - | | 40,000 | - | 40,000 | - | 108,582 | -27% | - |
| 410 | ეი-ი-ეს ტრანსენერგეტიკა (ენერგოლდი) | 483,520 | 3,602,824 | 3,000 | - | 0% | 508,448 | 430,000 | 938,448 | 294,950 | 3,442,845 | 612% | - |
| 417 | იმპორტი ელექტროსისტემა (რუსეთი) | - | 10,716,538 | 8,013,438 | - | 75% | 9,043,074 | (1,043,074) | 8,000,000 | (687,839) | 2,028,699 | | - |
| 418 | სადისტრიბუციო კომპ. | - | - | - | - | | 78,638 | - | 78,638 | 128,729 | 50,091 | | - |
| 206 | საქენერგორემონტი | 2,289 | - | - | - | | - | 2,289 | 2,289 | - | - | | - |
| 325 | გაზის ტრანსპორტირების კომპანია | 936,908 | - | - | - | | - | - | - | - | 936,908 | 0% | - |
| 401 | იტერა | 622,297 | - | - | - | | - | (5,379,328) | (5,379,328) | - | 6,001,626 | 864% | - |
| 405 | რემენერგოდანადგარი | 222,376 | - | - | - | | 222,376 | - | 222,376 | - | 0 | -100% | - |
| 406 | სათბობენერგოინფორმატიკა | 101,285 | - | - | - | | 13,500 | 52,952 | 66,452 | - | 34,833 | -66% | - |
| 407 | ენერგეტიკის კვლევითი ინსტიტუტი | 332,737 | - | - | - | | 10,000 | - | 10,000 | - | 322,737 | -3% | - |
| 411 | თბილსრესმშენი | 1,070,458 | - | - | - | | - | 1,070,458 | 1,070,458 | - | - | | - |
| 413 | ნაბადი | 43,707 | - | - | - | | 52,844 | - | 52,844 | - | - | | (9,137) |
| | სხვა | - | - | - | - | | - | - | - | - | - | | - |
| 339 | ალსი-ტრანსი | (3,528,000) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (3,528,000) |
| 414 | ზაჰესი | (1,500,000) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (1,500,000) |
| 178 | დისპეტჩერიზაცია (საქენერგო) | (9,933,294) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (9,933,294) |
| 420 | საქგაზი | - | - | - | 4,096,948 | | - | 4,096,948 | 4,096,948 | 4,096,948 | - | | - |
| 423 | | - | - | - | - | | - | 6,000,000 | 6,000,000 | - | - | | (6,000,000) |
| 424 | | | | | | | | | | | | | |
| | დღგ | 6,828,062 | 3,937,517 | 2,861,293 | - | 73% | 3,525,077 | - | 3,525,077 | - | 7,240,502 | 6% | - |
| | სულ | 431,232,714 | 126,297,822 | 43,833,612 | 5,675,001 | 35% | 47,702,790 | 3,730,404 | 51,433,195 | 22,575,157 | 551,715,745 | 28% | (23,043,247) |

## მოკლედ

**შვედეთი.** შვედეთის პოლიციამ, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის ანა ლინდის მკვლელობის საქმეს იძიებს, წინა კვირას დაკავებული ეჭვმიტანილი გაათავისუფლა. სააგენტო "ბიზნისის" ცნობით, პოლიციამ მეორე ეჭვმიტანილი პირი გუშინ დილით დააკავა. ამ საქმესთან დაკავშირებული დეტალები ჯერჯერობით უცნობია. პოლიციის მთავარმა გამომძიებელმა აგენტ ბლიდბერგმა ჟურნალისტებს მხოლოდ ის განუცხადა, რომ ეჭვმიტანილის დაპატიმრების დროს დრამატული არაფერი მომხდარა. ამასთანავე, უცნობია დაკავებულის ვინაობა, რასაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ ახმაურებენ.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ ასევე ვერ შეძლო 1986 წელს მოკლული, შვედეთის პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს მკვლელობის საქმის გახსნა და ამჟამად სამართალდამცავებს ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ უწევთ მუშაობა. ჯერჯერობით, რისი თქმაც გამომძიებლებს პრესისათვის შეუძლიათ, არის ის, რომ ანა ლინდზე თავდასხმა არ იყო წინასწარ დაგეგმილი და პოლიტიკური მოტივები არ გააჩნდა.

■ ■ ■

**ტაჯიკეთი.** ტაჯიკეთში ოფიციალური ვიზიტით ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი იმყოფება. ის უკვე შეხვდა ტაჯიკეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თაკბაქ ნაზაროვს. მოლაპარაკების ძირითად თემას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და ბუნებრივი კატასტროფების დროს ტაჯიკეთისათვის დახმარების გაწევა წარმოადგენდა. დღეს რობერტსონი ტაჯიკეთის პრეზიდენტს იმომალი რახმონოვთან და თავდაცვის მინისტრთან გამართავს შეხვედრებს. ასევე დაგეგმილია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის გამოსვლა დუშანბეს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

**"ნატო-ს კარგად ესმის, რომ 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ცენტრალური აზია ტერორიზმთან ბრძოლაში მოწინავე ფრონტად გადაიქცა,"** - განაცხადა ლორდმა ჯორჯ რობერტსონმა. ტაჯიკეთის შემდეგ ის ავღანეთს და უზბეკეთსაც მოინახულებს.

■ ■ ■

**აშშ.** ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნების საბოლოო თარიღად ა.წ. 7 ოქტომბერი დაამტკიცა. სააპელაციო სასამართლოში სარჩელი გუბერნატორობის კანდიდატებმა შეიტანეს, მას შემდეგ, რაც ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირის მოთხოვნით სასამართლომ არჩევნების გადატანა გამოაცხადა. ამჟამად ეს ორგანიზაცია აცხადებს, რომ ის სააპელაციო სასამართლოს გაადწყვეტილების გასაჩივრებას აღარ აპირებს. თავის დროზე, სამოქალაქო თავისუფლების კავშირი აცხადებდა, რომ არჩევნების ჩატარება კალიფორნიაში დაუშვებელია, რადგან ზოგიერთ ქალაქში ხმის დათვლის აპარატურები მოძველებულია, რაც ამომრჩეველთა ხმების დაკარგვის რისკს წარმოშობს. დამკვირვებელთა თქმით, არჩევნების გადავადება ამჟამინდელ გუბერნატორს გრეი დევისს ხელს აძლევდა, რადგან მისი რეიტინგი კალიფორნიის მოსახლეობაში საკმაოდ დაბალია და მას არჩევნებში მარცხი გარანტირებული აქვს. არჩევნებში გამარჯვების და კალიფორნიის გუბერნატორის სავარძლის მოპოვების იმედს არ კარგავს ჰოლივუდის ვარსკვლავი არნოლდ შვარცნეგერი.

# არც პარიზი და არც ვაშინგტონი პოზიციების დათმობას არ აპირებენ

გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერაყში კოალიციის ჯარების მოქმედება კიდევ ერთხელ გაამართლა. **"კოალიცია მშვიდობის დაცვის ინტერესებით მოქმედებდა და ამის წყალობით ერაყი დღეს თავისუფალია. გენერალურ ასამბლეას გათავისუფლებული ქვეყნის წარმომადგენელიც ესწრება,"** - განაცხადა ბუშმა. ამასთანავე, მან კიდევ ერთხელ მოუწოდა გაერო-ს წევრ ქვეყნებს ომისშემდგომი ერაყის რეკონსტრუქციის საქმეში აქტიური მონაწილეობისაკენ. რაც შეეხება ერაყში დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას და ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენას, ბუშმა განაცხადა, რომ ეს პროცესი არც ძალიან ნელა და არც ძალიან სწრაფად არ უნდა წარიმართოს. თეთრი სახლის მეთაურმა განაცხადა, რომ ერაყი დემოკრატიის გზაზე დგას და პალესტინელებმა მათ მაგალითს უნდა მიბაძონ.

აშშ-ს პრეზიდენტის შემდეგ, ცოტა ხანში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის წინაშე საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი წარსდგა. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ოფიციალური პარიზის პოზიცია, რომლის თანახმადაც ერაყში სამხედრო მოქმედების დაწყება გაერო-ს სანქციის გარეშე გაუმართლებელი იყო. **"გაერო-ს უშიშროების საბჭოს მანდატის გარეშე ომის დაწყებამ მრავალპოლუსიან მსოფლიოს დარტყმა მიაყენა. დანარჩენების სახელით, ცალმხრივად მოქმედების უფლება არავის აქვს,"** - განაცხადა შირაკმა.



*ფრანგულ-ამერიკული უთანხმოების დაძლევა ვერც ბუშის და შირაკის კერძო შეხვედრამ შეძლო.*

REUTERS

საფრანგეთის პრეზიდენტმა მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ ერაყში სუვერენიტეტი უმოკლეს ვადებში უნდა აღდგეს. ამასთანავე, მან მხარი დაუჭირა ერაყში გაერო-ს ეგიდით საერთაშორისო სამხედრო ძალების განთავსებას. მისი თქმით, საერთაშორისო შეიარაღებულ კონტიგენტს აშშ-მ უნდა უხელმძღვანელოს, რადგან ერაყში სამხედროთა ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ვაშინგტონს ჰყავს გაგზავნილი.

სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ბუშის გამოსვლისგან განსხვავებით, შირაკის სიტყვას ხანგრძლივი აპლოდისმენტები მოჰყვა. თუმცა, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მხარეთა პოზიციები კვლავ უცვლელი დარჩა.

"ნიუ-იორკ ტაიმსის" თქმით, გარეგნული მცდელობის მიუხედავად, ბუშს ნამდვილად არ ეტყობოდა, რომ მის ადმინისტრაციას ერაყში გაერო-ს როლის გავრცობა სურს. აშშ-ს ადმინისტრაციის მიზანს ერაყში რაც შეიძლება მეტი არაამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნა და ერაყის აღდგენისათვის რაც შეიძლება მეტი სხვა ქვეყნების ფინანსების მიღება წარმოადგენს.

გენერალური ასამბლეის თაობაზე მსჯელობს გუშინდელი "ვაშინგტონ პოსტიც." აქ გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ყველაფერი უცვლელად დარჩა. ფრანგულ-ამერიკული უთანხმოების დაძლევა ვერც ბუშის და შირაკის კერძო შეხვედრამ შეძლო. **"ამერიკელი ჩინოვნიკების თქმით, ერაყისათვის ხელისუფლების სწრაფად გადაცემის ფრანგული გეგმა ასამბლეაზე არც კი განიხილება. თუმცა, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ შირაკი გაერო-ს მიერ რეზოლუციის მიღებას წინ არ გადაეღობება, მაგრამ არც თავის დახმარებას შესთავაზებს. თავად შირაკმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საფრანგეთის პოზიცია ამერიკული მიდგომისგან მკვეთრად განსხვავდება,"** - იუწყება "ვაშინგტონ პოსტი."

# ნაცისტური რუსეთი "პარია" გახდება

პირველი გვერდიდან

კარგ საშუალებას გვაძლევს, ავუხსნათ ამერიკელებს, რომ ისინი მარტო ვერ უზრუნველყოფენ მშვიდობას მსოფლიოს ყველა რეგიონში. რუსეთს თავისუფლად შეუძლია, დამოუკიდებლად უზრუნველყოს სტაბილურობა პოსტ-საბჭოთა სივრცეში," – წერს ჟურნალ "მსოფლიო ენერგეტიკული პოლიტიკის" მთავარი რედაქტორი ვიტალი ტრეტიაკოვი. მისი აზრით, სანამ ამერიკა კისრამდეა ჩაფლული ერაყულ ქაოსში, რუსებს ხელები გახსნილი აქვთ, რათა დსთ-ში რაც უნდათ, ის გააკეთონ. "მოსკოვმა უნდა იმოძრაოს არა კუს სიჩქარით, არამედ შვიდმილიანი ნაბიჯებით. სხვაგვარად არც შეიძლება."

საქმე მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლება. ბოლო თვეების მანძილზე, როცა ამერიკა უშედეგოდ ცდილობს ერაყის სტაბილიზებას, რუსეთი წარმატებით "ითვისებს" დსთ-ის სივრცეს. ამ ხნის განმავლობაში მან გრძელვადიანი ენერგეტიკული ხელშეკრულებები დადო შუა აზიის თითქმის ყველა ქვეყანასა და საქართველოსთან, თითქმის დაასრულა "ოთხთა კავშირის" (რუსეთის, უკრაინის, ბელორუსისა და ყაზახეთის მომცველი ერთიანი ეკონომიკური სივრცე) შექმნა, განიმტკიცა პოზიციები დსთ-ის თითქმის ყველა ქვეყანაში და წარმატებების ეს სერია აღნიშნა ბოლო 13 წლის განმავლობაში პირველი სამხედო ბაზის გახსნით საზღვარგარეთ. რუსული სამხედრო-საჰაერო ბაზის მასპინძლობის "პატივი" ყირგიზეთს ერგო.

ტრენინის თქმით, ყოფილმა რესპუბლიკებმა სომხეთის როლი უნდა გაიზიარონ. რას ნიშნავს ეს, ყველასათვის ნათელია: რუსული სამხედრო ბაზების განთავსებას დსთ-ის ქვეყნებში და რუსი მესაზღვრეების გამოჩენას "დსთ-ის გარე საზღვრებზე"; ინტეგრაციას რუსეთის ინიციატივით შექმნილ ნაირგვარ ეკონომიკურ თუ უსაფრთხოების "კავშირებსა" და "ბლოკებში"; ენერგეტიკული სექტორის მთლიანად რუსეთისათვის გადაცემას და საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში მოსკოვისათვის, ფაქტობრივად, ვეტო-ს უფლების მინიჭებას, რაც ამ ქვეყნების დასავლურ ორიენტაციაზე უარის თქმას ნიშნავს.

გასაგებია ისიც, თუ რატომ უნდა იაროს რუსეთმა "შვიდმილიანი ნაბიჯებით". მან რაც შეიძლება მეტი უნდა მოასწროს, სანამ ამერიკას ხელ-ფეხი შეკრული ექნება. შემდეგ კი, რუსი ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ვაშინგტონი თვალს გაუსწორებს შექმნილ რეალობას და სხვადასხვა საკითხებში კრემლთან თანამშრომლობის სანაცვლოდ "ახლო საზღვარგარეთში რუსეთის განსაკუთრებულ როლზე" დათანხმდება.

აქ ორი კითხვა ჩნდება, დათანხმდება თუ არა ვაშინგტონი ამგვარ სტრატეგიულ გაცვლა-გამოცვლას და თუ არ დათანხმდა, რას გააკეთებს პუტინის იმპერიული ამბიციების შესაკავებლად?

ამერიკელი ექსპერტებიც და მედიაც აცხადებენ, რომ ასეთი გარიგება არ შედგება. დსთ-ის სივრცეში და არა მარტო იქ ისევე განსხვავდება ამერიკისა და რუსეთის გრძელვადიანი ინტერესები ერთმანეთისგან, როგორც ამ ქვეყნების დამოკიდებულება საკუთარი მოქალაქეებისა და გარეშე მსოფლიოსადმი. ვიზიტის წინა დღეებში წამყვანი ამერიკული გაზეთები პირდაპირ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პუტინისათვის ლაფის დასხმაში.

"კაგებე-ს ამ ყოფილმა ჯაშუშმა, რომელსაც ჩვენ კემპ-დევიდში ვუმასპინძლებთ, პრეზიდენტობის სამნახევარი წლის მანძილზე დაასამარა რუსული დემოკრატია," – წერს "ვაშინგტონ პოსტი". გარი კასპაროვმა კი პუტინს ხუთი წლის წინ მის მიერვე ნათქვამი სიტყვები გაუხსენა, რომ "კაგებე-ს ყოფილი თანამშრომლები არ არსებობენ". ამერიკულმა პრესამ პუტინს შეახსენა ჩეჩნების გენოციდი, რუსეთში თავისუფალი პრესის განადგურება, პარლამენტის გადაქცევა უტყვ და მორჩილ ორგანოდ, "იუკოსის" წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია და სხვა მრავალი ცოდვა.

ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, პუტინის პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, რუსეთს ან ეკონომიკურ კატასტროფამდე მიიყვანს, ან "ნაცისტურ სახელმწიფოდ" აქცევს. ნებისმიერ შემთხვევაში, მასთან გრძელვადიანი მჭიდრო მეგობრობა ამერიკისათვის უინტერესოა.

"აქ, ვაშინგტონში არსებობს მოსაზრება, რომ ათ-ოც წელიწადში რუსეთი ეკონომიკურად მოკვდება, ამიტომ ამერიკას ურჩევნია, სხვა პარტნიორი ან პარტნიორები მოძებნოს," – წერს ვაშინგტონის "თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრის" დირექტორი, ნიკოლაი ზლობინი.

მიმომხილველთა მეორე ნაწილი რუსეთს არა ეკონომიკურ სიკვდილს, არამედ დიქტატურას უწინასწარმეტყველებს.

"დასავლეთსა და აშშ-ს ხელი არ უნდა აუკანკალდეთ, როდესაც პუტინის შეჩერებას დააპირებენ: დიქტატორული, პოლიციური, ნაციონალისტური სახელმწიფო – სხვაგვარად რომ ვთქვათ – ნაცისტური რუსეთი საერთაშორისო პარია (გარიყული, განდევნილი – ავტ.) გახდება, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, ბელორუსი. პრეზიდენტ ბუშის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ნებისმიერ ფასად "აპატიოს რუსეთს", რათა შედეგად მისგან გარკვეულ დათმობებს მიაღწიოს, მხოლოდ ხელს უწყობს ფაშისტური ძალებისა და ფიგურების აღზევებას, რომლებიც ჩემი ქვეყნის ხელში ჩაგდებას ცდილობენ," – წერს "უოლ სტრიტ ჯორნელში" ცნობილი რუსი ექსპერტი პაველ ფელგენჰაუერი.

თუ პირველ კითხვაზე ექსპერტების უმეტესობას საერთო აზრი აქვს, მეორეზე - როგორ უნდა აღუდგეს ამერიკა რუსეთის აგრესიულ გეგმებს დსთ-ის სივრცეში, ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ არ არსებობს. რამდენიმე თვე რუსეთის უიღბლო მეზობლებს, ალბათ, საკუთარი თავის იმედად მოუწევთ ყოფნა. ამ ხნის განმავლობაში მათ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ თავისუფლების ღირსნი არიან.

# ნატო ახალი გენერალური მდივნის მოლოდინში

*ჩრდილოატლანტიკურ ბლოკს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ორშაბათს ნატო-ს 19 ქვეყნის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამ პოსტზე ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის იაპ დე ჰოპ სხეფერის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. ანალიტიკოსთა შეფასებით, ახალი გენერალური მდივანი მოღვაწეობას ალიანსისთვის მეტად კრიტიკულ პერიოდში იწყებს: ერთის მხრივ, ნატო ცდილობს, ახალი ადგილი დაიმკვიდროს ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში, მეორე მხრივ კი, აღსადგენია ურთიერთობები შეერთებულ შტატებსა და კავშირში შემავალ ევროპელ პარტნიორებს შორის, რაც ერაყის საკითხში წამოჭრილი უთანხმოების გამო გართულდა.*

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის"

დე ჰოპ სხეფერი მესამე ჰოლანდიელი პოლიტიკოსია, ვისაც ნატო-ს გენერალური მდივნობის პატივი ხვდა წილად. თანაც, აღმოჩნდა, რომ ყოველი ოცი წლის შემდეგ ამ პოსტს ჰოლანდიელი იკავებს - 1961 წლიდან 1964 წლამდე ალიანსს დირკ სტიკერი ხელმძღვანელობდა, 1971-1984-ში - იოზეფ ლანსი. ალიანსის წესდების თანახმად, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი იან დე ჰოპ სხეფერი თავისი მოვალეობის შესრულებას 2004 წლის 1 იანვრიდან შეუდგება, როდესაც საბოლოოდ ამოიწურება მისი წინამორბედის, ბრიტანელი ჯორჯ რობერტსონის ოთხწლიანი ვადა. ეს როტაცია ალიანსის უმაღლეს ეშელონში დაემთხვა მეტად კრიტიკულ პერიოდს, როდესაც ცივი ომის შემდგომ ბლოკი თვითდამკვიდრების პროცესში მიმდინარეობს. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რობერტსონი ასეთ რთულ ვითარებაში ტაქტიანად უძღვებოდა ალიანსს. ამის ცხადი მაგალითია ნატო-ს კონტიგენტი ავღანეთში. პირველი პრეცედენტი 54-წლიან ისტორიაში, როდესაც ალიანსი ევროპის ფარგლებს გარეთ ხელმძღვანელობს სამხედრო ოპერაციას.

სხეფერის წინაშე კიდევ უფრო რთული ამოცანა დგას, მან უნდა შეინარჩუნოს რობერტსონის ნამოღვაწარი და, ამავე დროს, როგორც ბრიტანეთის სამეფო ინსტიტუტის უფროსმა ანალიტიკოსმა მარკ ჯოისმა რადიო "თავისუფლებას" უთხრა, აღსადგენია ნდობა შეერთებულ შტატებსა და კავშირში შემავალ ევროპელ პარტნიორებს შორის, ერაყის საკითხის გამო რომ შეირყა.

**" ბატონი ჰოპ დე სხეფერი მემკვიდრეობას იბარებს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია რთული ამოცანების წინაშე დგას. როდესაც ატლანტიკის ორივე მხარეს მცხოვრები ხალხი სვამს შეკითხვას, აქვს თუ არა ნატო-ს რელევანტური სტრატეგია და არის თუ არა ამერიკა კვლავ მისი აქტიური წევრი. ჩემი და, მე ვფიქრობ, ბევრი ადამიანის აზრითაც, არის, მაგრამ მას, სხეფერს აქვს ძალიან პასუხსაგები ამოცანა, რათა ალიანსის ისტორიის ამ მეტად რთულ პერიოდში ამერიკელები ფრანგებთან და გერმანელებთან შეარიგოს,"** - აცხადებს ჯოისი.

აღსანიშნავია, რომ ერაყში მიმდინარე სამხედრო ოპერაციის დროს დე სხეფერი პოლიტიკურად მხარს უჭერდა შეერთებულ შტატებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქვეყანა, ნიდერლანდები ამ ოპერაციაში არ მონაწილეობს.

იმავდროულად, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი თქვა, ხელი მოეწერა შეერთებული შტატებისადმი მხარდამჭერი წერილისთვის, რომელსაც ესპანეთმა, იტალიამ და აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი, რათა ამით ხაზი არ გაესვა ევროპელებს შორის არსებული განხეთქილებისთვის. ამიტომაც არის, რომ სხეფერს თანაბარი პატივისცემით ღებულობენ როგორც პარიზსა და ბერლინში, ისე თეთრ სახლში.

დე სხეფერი ასევე ძალიან მონდომებული იყო, რათა ხელი შეეწყო უსაფრთხოების გაძლიერებისთვის ევროკავშირის შიგნით. ცივი ომის შემდგომ, და განსაკუთრებით ერაყის კრიზისის შემდეგ, ევროკავშირში სულ უფრო ბევრს ფიქრობენ საკუთარი თავდაცვის გაძლიერების შესახებ, რასაც ყოველთვის როდი უჭერს მხარს ნატო, სადაც ამერიკის როლი დომინირებს.

თანაც, ბოლომდე არ არის ნათელი, თუ რა გზით აპირებს თავდაცვის პრობლემის გადაჭრას ევროკავშირი, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მოძრაობა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ევროკავშირში კვლავაც გაგრძელდება. ნატო-ს ახალი გენერალური მდივნისთვის ნათელია, რომ ევროკავშირს უნდა ჰქონდეს საკუთარი ადგილი კრიზისების პრევენციისა და მენეჯმენტის დროს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ნატო-ს ხარჯზე. ამიტომაც მიიჩნევს ზოგიერთი ანალიტიკოსი, რომ დე სხეფერი, რომლის პოლიტიკური მოქნილობა მთელ მის მოღვაწეობაში ვლინდება, ნატო-სა და ევროკავშირს შორის ერთგვარი "ცოცხალი ხიდის" როლსაც შეასრულებს.

მაგრამ, ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდებია ან, შეიძლება ითქვას - სურვილები, რადგან არავის სურს, რომ ბზარები, რამაც ერაყის საკითხის გამო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში იჩინა თავი, ნაპრალებად იქცეს.


**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**
**სახაზინო სამსახური**

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 15 - 19 სექტემბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 8 095,9 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 462.2 ათასი ლარი:**
- **დისკონტი - 459.6 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 2.6 ათასი ლარი;**

**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 7 391.2 ათასი ლარი;**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების აგვისტოს თვის შრომის ანაზღაურება - 3 565.2 ათასი ლარი:**
- კონტროლის პალატა - 111.0 ათასი ლარი;
- კულტურის სამინისტრო - 300.0 ათასი ლარი;
- მეცნიერებათა აკადემია - 1 000.0 ათასი ლარი;
- ქ. თბილისში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 1 400.0 ათასი ლარი;
- რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 754.2 ათასი ლარი:

**საბიუჯეტო ორგანიზაციების აგვისტოს თვის კვების ხარჯები - 1 327.7 ათასი ლარი:**
- თავდაცვის სამინისტრო - 550.0 ათასი ლარი;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 340.1 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 225.5 ათასი ლარი;
- საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 134.0 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტრო - 69.1 ათასი ლარი;
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 4.0 ათასი ლარი;
- ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი (ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი) - 4.0 ათასი ლარი;
- სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი - 1.0 ათასი ლარი;

**სპეციალური ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (სენაკის რაიონი) - 30.0 ათასი ლარი;**

**საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები (აგვისტოს თვის) - 1 490.0 ათასი ლარი;**

**საგარეო საქმეთა სამინისტრო (საერთაშორისო ორგანიზაცებში - იუნესკოს საწევრო გადასახადი) - 182.8 ათასი ლარი;**

**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 430.0 ათასი ლარი;**

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ჯანდაცვის პროგრამები) - 35.0 ათასი ლარი:**

**საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 300.0 ათასი ლარი;**
- **საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში ("აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში 2003 წელს მოსახლეობის დაცვისა და სოციალურ-ეკონონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს N1036 განკარგულების თანახმად) სხვა საქონელი და მომსახურება - 300.0 ათასი ლარი, მ.შ. კვების ხარჯები 220.0 ათასი ლარი;**

**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 30.5 ათასი ლარი;**
- **ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის დაფინანსება - 11.6 ათასი ლარი;**
- **სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - შრომის ანაზღაურება - ზ. წიკლაურის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით) - 0.6 ათასი ლარი;**
- **თავდაცვის სამინისტრო (სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - შრომის ანაზღაურება) - 3.2 ათასი ლარი;**
- ლ. ბლუიშვილის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით - 0.6 ათასი ლარი;
- შ. ზალდატანიშვილის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით - 0.6 ათასი ლარი;
- ი. წკრიალაშვილის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით - 2.0 ათასი ლარი;
- **სახელმწიფო კანცელარია (მივლინება) - 15.1 ათასი ლარი:**

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 242.5 ათასი ლარი;**

**კულტურის სამინისტროს პროგრამული ხარჯები - 51.3 ათასი ლარი;**

**" სხვა საქონელი და მომსახურება" - 151.4 ათასი ლარი;**
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 55.4 ათასი ლარი;
- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური - 50.0 ათასი ლარი (მ.შ. კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია 5.0 ათასი ლარი);
- საქართველოს პარლამენტი - 26.0 ათასი ლარი;
- საკონსტიტუციო სასამართლო - 20.0 ათასი ლარი;

**სამივლინებო ხარჯები - 39.8 ათასი ლარი;**
- საქართველოს პარლამენტი - 33.0 ათასი ლარი:
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 5.0 ათასი ლარი;
- სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური - 1.8 ათასი ლარი:

**სულ ხარჯი: 8 095.9 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 462.2 ათასი ლარი:**
- **დისკონტი - 459.6 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 2.6 ათასი ლარი;**

**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 7 391.2 ათასი ლარი;**

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 242.5 ათასი ლარი;**
- **სხვა საქონელი და მომსახურება - 202.7 ათასი ლარი;**
- **მივლინება - 39.8 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1** **ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**



**სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება** "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე" თავის პროექტებში სახელშეკრულებო საფუძველზე მონაწილეობის მისაღებად იწვევს იმ დაინტერესებულ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ ზოგად მოთხოვნებს:
- უმაღლესი განათლება
- ინგლისური ენის კარგი ფლობა
- ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების სათანადო ცოდნა

უპირატესობა მიენიჭებათ ეკონომისტებს, ფინანსისტებს, იურისტებს, ტექნიკური დარგებისა და ინგლისური ენის სპეციალისტებს.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, თავიანთი ავტობიოგრაფია ქართულ და ინგლისურ ენებზე (CV) გამოგვიგზავნონ ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე: office@dvnk.ge.

საზოგადოება უფლებას იტოვებს, შემდგომი გასაუბრების მიზნით დაუკავშირდეს მხოლოდ მათ, ვისი ავტობიოგრაფიული მონაცემებიც საზოგადოების პარტნიორთათვის ყველაზე მეტად იქნება მისაღები.



**პროექტი "ქართული სახლი"**
**კონკურსი - "ქართული დიზაინი"**

პროექტ "ქართულის სახლის" ეგიდით, 24 სექტემბერს, 15 საათზე, ღია ცის ქვეშ მუზეუმში გაიმართება კონკურსის "ქართულის დიზაინი" შედეგების შეჯამება და გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოვება.

**კონკურსის საპრიზო ფონდია**: **I** პრემია - 4000 ლარი
- **II** პრემია (ორი) - 2000 ლარი
- **III** პრემია (სამი) - 1000 ლარი
- კონკურსის ჟიურის თავჯდომარეა **გივი მეტრეველი**.
- დაწესებულია სპეციალური პრიზი - 500 ლარი, რომლის თაობაზე გა დაწყვეტილებას ჟურნალისტების ალტერნატიული ჟიური მიიღებს.

**კონკურსის ორგანიზატორები:**
- კომპანია "არსი"
- სტუდია "ორი"

**კონკურსის სპონსორები:**
TBC - ბანკი, GPI ჰოლდინგი, კომპანია "არსი", GGMW კომპანია, სტუდია "ორი", კომპანია "ორრი", "რუსთავი 2" და ვალერი გელაშვილი

**საინფორმაციო მხარდაჭერა:**
გაზეთები - "24 საათი", "დილის გაზეთი", "ახალი ეპოქა", "რეზონანსი". ჟურნალები: "გზა", "თბილისელები", "სტილი".

**კონკურსის პრომოუტერი:** საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა"

**კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ: ტელ.: 251904, (877) 497103 .**
**www.georgianhouse.ge**



თრეფიკინგი - უფასო იურიდიული კონსულტაციები.
ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი. მისამართი: აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" მაღლივი შენობა, 12-ე სართული.
ტელეფონი: 95-10-03

## ევროტურნირები

### უეფას თასი. პირველი წრე. პირველი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| ჰაპოელი (რ.გ. ისრაელი) | 0:1 | ლევსკი (ბულგარეთი) |
| ცსკა (ბულგარეთი) | 1:1 | ტორპედო (რუსეთი) |
| პანიონიოსი (საბერძნეთი) | 2:1 | ნორდსიელანდი (დანია) |
| სარტიდი (სერბეთი) | 1:2 | სლავია (ჩეხეთი) |
| გენჩლერბირლიგი (თურქეთი) | 3:1 | ბლექბერნი (ინგლისი) |
| მაკაბი (ჰ. ისრაელი) | 2:1 | პუხლიკუმი (სლოვაკეთი) |
| დინამო (ხორვატია) | 3:1 | მტკ (უნგრეთი) |
| ჰერტა (გერმანია) | 0:0 | გროცლინი (პოლონეთი) |
| მეტალურგი (უკრაინა) | 1:1 | პარმა (იტალია) |
| მიუპა (ფინეთი) | 0:1 | სოშო (საფრანგეთი) |
| ბრონდბიუ (დანია) | 1:0 | ვიქტორია (ჩეხეთი) |
| ცემენტარნიცა (მაკედონია) | 0:1 | ლანსი (საფრანგეთი) |
| ზალცბურგი (ავსტრია) | 0:1 | უდინეზე (იტალია) |
| სპარტაკი (რუსეთი) | 2:0 | ესბიერგი (დანია) |
| ვოლერენგა (ნორვეგია) | 0:0 | გრაცერი (ავსტრია) |
| ვარტექსი (ხორვატია) | 1:3 | დებრეცენი (უნგრეთი) |
| კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | 1:2 | ტეპლიცე (ჩეხეთი) |
| ლეირია (პორტუგალია) | 1:0 | მოლდე (ნორვეგია) |
| უტრეხტი (ჰოლანდია) | 2:0 | ჟილინა (სლოვაკეთი) |
| ზიმბრუ (მოლდოვა) | 1:1 | არისი (საბერძნეთი) |
| ვენტსპილსი (ლატვია) | 1:4 | როსენბორგი (ნორვეგია) |
| მალათიასპორი (თურქეთი) | 0:2 | ბაზელი (შვეიცარია) |
| პუხოვი (სლოვაკეთი) | 1:1 | ბარსელონა (ესპანეთი) |
| დინამო (რუმინეთი) | 2:0 | შახტარი (უკრაინა) |
| გაზიანთეპსპორი (თურქეთი) | 1:0 | ჰაპოელი (თ.ა. ისრაელი) |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) | 1:1 | ჰაიდუკი (ხორვატია) |
| ლა ლუვიე (ბელგია) | 1:1 | ბენფიკა (პორტუგალია) |
| დანდი (შოტლანდია) | 1:2 | პერუჯა (იტალია) |
| ოდენსე (დანია) | 2:2 | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | 1:1 | კოპენჰაგენი (დანია) |
| ოლიმპია (სლოვენია) | 1:1 | ლივერპული (ინგლისი) |
| პაოკი (საბერძნეთი) | 0:1 | ლინი (ნორვეგია) |
| აიკი (შვედეთი) | 0:1 | ვალენსია (ესპანეთი) |
| აპოელი (კვიპროსი) | 1:2 | მალიორკა (ესპანეთი) |
| აუსტრია (ავსტრია) | 1:2 | ბორუსია (დ. გერმანია) |
| ოსერი (საფრანგეთი) | 1:0 | ქსამაქსი (შვეიცარია) |
| ნიუკასლი (ინგლისი) | 5:0 | ბრედა (ჰოლანდია) |
| რომა (იტალია) | 4:0 | ვარდარი (მაკედონია) |
| საუთჰემპტონი (ინგლისი) | 1:1 | სტიაუა (რუმინეთი) |
| ჰარტსი (შოტლანდია) | 2:0 | ჟელეზნიჩარი (ბოსნია) |
| მანჩესტერ სიტი (ინგლისი) | 3:2 | ლოკერენი (ბელგია) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | 0:0 | ტრაბზონსპორი (თურქეთი) |
| სპორტინგი (პორტუგალია) | 2:0 | მალმიო (შვედეთი) |

## TV სპორტი

### ხუთშაბათი. 25 სექტემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "გუარანი" – "ფლამენგო"
15:00 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
16:00 FUTBOL MUNDIAL
16:30 "დარტყმა გოლის მიმართულებით"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 განვლილი კვირის ჰიტ-ალღუმი
18:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:45 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
20:15 ხვალინდელი პროგრამა
20:25 უიკ-ენდის მატჩების ანონსი
20:30 თავისუფალი დარტყმა
20:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. "გუარანი" – "ფლამენგო"
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:25 თავისუფალი დარტყმა
23:40 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალღუმი. "მილანი" – "აიაქსი"
01:25 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
02:20 02:20-დან 13:00-მდე შესვენება
05:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "გუარანი" – "ფლამენგო". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:15, 17:40, 20:10, 22:15 პრეს-ცენტრი
11:15, 22:30 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთში. ქალები. რუსეთი – ესპანეთი
13:15 "ათენის გზაზე"
14:55 ავტორბოლები. "რუსული GT"
15:25 "საუკუნის ათლეტი" ვლადიმირ მასლაჩენკო
15:55 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი თურქეთში. ქალები. რუსეთი – რუმინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:55 "ნადირობის სეზონი"
18:25 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი თურქეთში. ქალები. იტალია - ბულგარეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:25 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:55 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:35 ხვალინდელი პროგრამა
22:40 "სიჩქარის სამყარო"
23:10 ჰოკეის საღამო
23:40 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი თურქეთში. ქალები. რუსეთი - რუმინეთი
01:15 ახალი ამბები
01:30 ტაილანდური კრივი

**EUROSPORT**

06:00 ფეხბურთი
11:30 ცხენოსნობა. ერთა თასი ესპანეთში
12:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური აშშ
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი
16:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები
18:00 ველორბოლები. ესპანეთის ტური
20:15 მულტისპორტი
20:30 "ოლიმპიური თამაშები"
21:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები
23:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში
00:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:30 ახალი ამბები
01:45 ფეხბურთი. უეფას თასი
03:45 ფეხბურთი. უეფას თასი
04:30 ფეხბურთი. უეფას თასი

## კალათბურთი

# ფედერაციამ ორი წელი შეაჭამა

პაატა თოთაძე

ორმაგად დატვირთული იყო გუშინდელი დღე ქართულ კალათბურთში მოღვაწეთათვის. დღის პირველ ნახევარში მათ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ მოწვეულ რიგგარეშე ყრილობაზე მოუხდათ ყოფნა. შემდგომ კი დუდუ დადიანის მემორიალზე წავიდნენ. წარსულში ცნობილი კალათბურთელის სახელობის რიგით მეორე ტურნირმა სტარტი გუშინ აიღო. ამდენად მასზე უფრო ვრცლად მომდევნო დღეებში ვისაუბრებთ. ახლა კი გუშინ გამართულ ყრილობას შევეხოთ, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ მოხდა.

ყრილობის დღის წესრიგში სამი განსახილველი საკითხი იყო: საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ანგარიში-ინფორმაცია დღემდე შესრულებული სამუშაოს შესახებ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის წესდებაში ცვლილებათა შეტანა და სხვადასხვა. ამ სხვადასხვაში იგულისხმებოდა კალათბურთის ფედერაციის მიერ საგარეო ურთიერთობისა და სანაკრებო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დელეგატებისთვის და მედიის წარმომადგენელთათვის.

პირველი საკითხის მომხსენებელმა, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა ჩამოთვალა ის სამუშაოები, რომელიც ფედერაციამ გასწია დღემდე. ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა საქართველოს ჩემპიონატის წესდება. მისი ჩატარების სისტემა. პირველად დიდი ხნის იძულებითი პაუზის შემდეგ შეიკრიბა ქალთა ნაკრები. სწორედ ამ ფედერაციის მეცადინეობით გახდა შესაძლებელი ახალგაზრდა მოთამაშეთა საზღვარგარეთ მიგრაციის შემცირება და ამ საკითხზე მეტ-ნაკლები კონტროლის დაწესება.



მერაბ რატიშვილი, მამუკა კაციტაძე და ბესიკ ლიპარტელიანი.

ასევე პირველად შარშან ქართულ ენაზე გამოიცა კალათბურთის წესები. ახლო მომავალში კი კიდევ ერთი ქართულენოვანი წიგნის გამოცემაა ნავარაუდევი.

ამის შემდეგ საქმეში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა კაციტაძე ჩაერთო და დელეგატებთან ერთად წესდებაში ცვლილებებიც დაამტკიცა. ამიერიდან ყრილობაზე ხმის უფლება ფედერაციის წევრს ექნება. საერთო ჯამში წესდებაში მე-5 თავის რამდენიმე მუხლი და მთლიანად მე-6 თავი შეიცვალა. ამასთან ერთად შეიცვალა ფედერაციის ლოგოც. როგორც ფედერაციის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს ის უფრო თანამედროვე გახდა.

მესამე საკითხს ორი მომხსენებელი ჰყავდა. თავდაპირველად ორატორობა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა იკისრა. მისი თქმით, უმთავრესი პრობლემა საქართველოდან ახალგაზრდა კალათბურთელთა მიგრაციაა. მან კარგად იცის, რომ ეს ძირითადად ეკონომიკური და სოციალური პირობებით არის განპირობებული. ბრაიკოვიჩის ვარაუდით ჩვენს ქვეყანას ყველა პირობა გააჩნია იმისთვის, რომ ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდეს.

ბოლოს კი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ისაუბრა - ჯერ წარსულის, შემდეგ კი მომავლის შესახებ. უახლოეს მომავალში ფედერაციის პრეზიდენტი საბერძნეთში მიემგზავრება. შემდეგ რომში, სადაც ევროპის მომავალი ჩემპიონატის კენჭისყრა გაიმართება და ჩვენი გუნდის მეტოქეები გაირკვევიან. იქვე (მანამდე თუ არა) გახდება ცნობილი მისცემენ თუ არა საქართველოს კადეტთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობის უფლებას. ამის შემდეგ პრეზიდენტს ამერიკის სტუმრობა მოუწევს, სადაც NBA-ის კომისარ შტერნთან ექნება შეხვედრა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ შეხვედრაზე ოკეანისგაღმა მოთამაშე ქართველ კალათბურთელთა ნაკრებში გამოძახების საკითხი უნდა გაირკვეს.

## კრივი

# გადარეულ ჩემპიონს ადგილი მიუჩინეს

ბიბა ბურასაშვილი

41 წლის მსოფლიოს ექს ჩემპიონი მძიმე წონაში სამი შვილის მამა, კარგი მეოჯახე ინგლისელი ფრენკ ბრუნო, რომელიც რინგს 1996 წლის შემდეგ აღარ გაკარებია, ძალდატანებით, უფრო სწორედ პოლიციელთა თანხლებით თუ ესქსკორტით ესექსის საგრაფოში ილფორდში, "გუდმეიესის" ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. როგორც შემდეგ გაირკვა, ბრუნოს წასაყვანად ექიმებისთვის მოახლეებს უხმიათ, რომლებიც პატრონის არაადეკვატური ქმედებების გამო იძულებულნი გახდნენ ექიმთა დახმარებისთვის მიემართათ. ფსიქიატრიულში გადაყვანის შემდეგ კი ექიმები ორი საათის განმავლობაში ცდილობდნენ შეშლილი ბრუნოს გონზე მოყვანას.

ერთნი მიიჩნევენ, რომ ბრუნოს ნერვული აშლილობა შესაძლოა, ნარკოტიკების ბრალი იყოს, მაგრამ როგორც აცხადებენ, ასეთი რამ ნაკლებად სარწმუნოდ ჟღერსო. მეორენი უფრო სარწმუნოდ მეუღლე ლაურასთან ორი წლის წინათ გაყრასა და საერთოდ რინგს მიღმა დარჩენას მიიჩნევენ. არადა წლეულს ინგლისელ მოკრივეს ექიმთა რჩევის საწინააღმდეგოდ საკრივო ლიცენზიის აღდგენა და მძიმე წონაში თანამემამულე ოლიმპიურ ჩემპიონთან ოდლი ჰარისონთან შებმაც სურდა, რათა 1995 წელს "უემბლიზე" ოლივერ მაკკოლისთან დაპირისპირებაში მოპოვებული WBC (საბჭოს) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დამცავი ორთაბრძოლა გაემართა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. კრივიდან წასვლის მიზეზი კი 1996 წლის 30 აგვისტოს თვალზე მიღებული მძიმე ტრავმაა.

ბრუნოს მეგობართაგან უახლოესი ასევე ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ბარი მაკგუიგანი კი ბრუნოს ნერვული აშლილობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ყველაზე ახლო მეგობრისა და მწვრთნელის ჯორჯ ფრენსისის დაკარგვას მიიჩნევს. საქმე ის არის, რომ ფრენსისმა შარშან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

მაკგუიგანის არ იყოს, მძიმე წონაში ბრიტანეთისა და ევროპის ყოფილი ჩემპიონის სერ ჰენრი კუპერის აზრით, რომელიც 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ლონდონში მუჰამედ ალისაც შებრძოლებია, მოკრივეთა ერთი ნაწილისთვის რთულ ამოცანას წარმოადგენს კარიერის დასრულება, ისევე როგორც არასწორი ვარჯიში.

"ერთ დღეს მოკრივე ხარ, მომდევნო დღეს კი იღვიძებ და კრივიდან ხარ წასული. ანუ, აღარ ხარ მოკრივე. შემდეგ იწყებ ფიქრს: "ახლა რა უნდა ვაკეთო". ერთი სიტყვით, ყოველივე, სხვადასხვა ადამიანებზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს?", - საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს კუპერი.

რაც შეეხება ბრუნოს საკრივო კარიერას, იგი 45-ჯერ გასულა რინგზე და აქედან 40 გამარჯვებით დაასრულა (38 ნიკაუტით). ბრიტანელისთვის კარიერის მწვერვალი 1995 წელი გამოდგა, როდესაც "უემბლის" სტადიონზე ოლივერ მაკოლისთან დაპირისპირებაში კრივის სამყაროში ყველაზე პატივდებული ორგანიზაციის კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო სარტყელს დაეუფლა. მომდევნო ყველაზე ხმაურიანი ბრძოლა კი ექვსი თვის შემდეგ კრივის მექაში, ლას-ვეგასში მაიკ ტაისონთან გამართა. "რკინის მაიკთან" პირველივე ტიტულისდამცავი შერკინება კი ალბიონელისთვის ორ რაუნდში მარცხით დასრულდა. ტაისონთან ჩხუბის მერე ბრუნო კიდევ ერთხელ გავიდა რინგზე, მაგრამ თვალზე ისეთი ტრავმა მიიღო, რომ იძულებული გახდა ხელთათმანები სამუდამოდ დაევიწყებინა.

BBC-ის დახმარებით აქვე გთავაზობთ იმ ბრიტანელ მოკრივეთა ნუსხას, რომლებმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს, მოკლეს, ანაც ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიეს და ქუჩის მაწანწალებად იქცნენ.

**ფრედი მილსი** - ქვემძიმე წონაში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი 1965 წელს ლონდონის ერთ-ერთი ღამის კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოკლული ნახეს.

**რენდი ტურპინი** - საშუალო წონაში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, რომელსაც ლეგენდარული შუგარ რეი რობინსონი დაუმარცხებია, გალოთდა. მოგვიანებით 1966 წელს კი თავი მოიკლა.

**ჯო ლუისი** - 1940 წელს მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა და 5 მილიონი აშშ დოლარი გამოიმუშავა. საგადასახადო სამსახურთან პრობლემებისა და ნარკოტიკებზე მიძალების შემდეგ, 1981 წელს ლას-ვეგასში გარდაიცვალა.

**კირკლენდ ლეინგი** - ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ბრიტანელი მოკრივე და საშუალო წონაში ჩემპიონობის პრეტენდენტი ნარკოტიკებსა და სასმელს მიეძალა. იგი ამჟამად ჰოკნის ქუჩებში ცხოვრობს.



## ფეხბურთი

# ალფრედო დი სტეფანო: „ჩემი ცხოვრება ფეხბურთია"

*23 სექტემბერს მადრიდში იუბილეს აღნიშნავდნენ – 50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც "რეალში" სათამაშოდ მივიდა ალფრედო დი სტეფანო. "სანტიაგო ბერნაბეუზე" ეს თარიღი სპეციალური მატჩითაც აღნიშნეს, სანტიაგო ბერნაბეუს თასზე "რეალი" არგენტინულ "რივერ პლეიტს" შეხვდა (3:1).*

*დი სტეფანოსთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა, ის ხომ მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო კლუბად აღიარებული "რეალის" ცოცხალი ლეგენდაა. ამჟამად ის 77 წლისაა და მიუხედავად ამისა, გუშინდელი დღესავით ახსოვს ყოველივე, რაც "რეალის" ოქროს ხანას უკავშირდება.*

**- გახსოვთ 1953 წლის 23 სექტემბერი, თქვენი მოსვლა "რეალში"? ეს ზუსტად 50 წლის წინათ მოხდა.**

- მადრიდში მატარებლით, ბარსელონიდან ჩამოვედი ჩემს მეუღლე სარასთან და ორ უფროს ქალიშვილთან ერთად. 11.30 საათზე უკვე "ატოჩას" ვაგზალზე გახლდით. იქ უკვე მელოდა ორი ჟურნალისტი. ჩამიტარეს სამედიცინო შემოწმება, შემდეგ კი სტადიონზე წავედით, რადგან იმავე დღეს თამაში გვქონდა. ამ მატჩამდე ორი თვის უვარჯიშებელი ვიყავი, ისეთივე, როგორიც ახლა ვარ!

**- რა დაგამახსოვრდათ იმ მატჩიდან, რომელიც მადრიდში თქვენი ჩამოსვლის დღესვე გაიმართა "სანტიაგო ბერნაბეუზე"?**

- სტადიონზე მაშინ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, ისევე, როგორც დღეს. ჩვენ თითო-თითო ხორცის ნაჭერი მივირთვით, და მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ფორმაში არ ვიყავი, მოედანზე გავედი. უნდა ვაღიარო, რომ მოწინააღმდეგემ კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარა. წინა სამი თვე მე მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში ვიღებდი მონაწილეობას "ბარსელონას" შემადგენლობაში.

**- "რეალში" და "ბარსელონაში" ერთდროულად გადახვედით, ეს ისტორია ესპანური ფეხბურთის კლასიკად არის აღიარებული.**

- ბარსელონაში მაისში ჩავედი. იქ ისეთი არეულობა იყო, რომ ვერ მივხვდი, "ბარსელონას" საკუთრება ვიყავი, თუ "რეალის". ამ გაურკვევლობით ძალიან დავიღალე. წარმოიდგინეთ, რომ "იუვენტუსში" გაშვებასაც კი მპირებდნენ. საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა. მე "რეალში" მოვედი და სამუდამოდ აქ დავრჩი.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ მადრიდელებს თქვენი დამსახურების დაფასების სურვილი გაუჩნდათ და თქვენს საპატივცემულოდ საფეხბურთო მატჩს მართავენ?**

- ეს მატჩი უკვე ოცდამეხუთედ მიაგებს პატივს სანტიაგო ბერნაბეუს. წელს კი ის ჩემს იუბილეს დაემთხვა. ადამიანები მიდიან, ორგანიზაცია კი რჩება. ყოველთვის ასეა. ეს არავის უნდა დაავიწყდეს.

**- იქნებ რაიმე გაიხსენოთ მადრიდის "რეალის" შესახებ?**

- მე არ შემიძლია რაიმეს გამოყოფა. ყველაფერმა ისე ლამაზად ჩაიარა, ყოველივე ფანტასტიკური იყო. მე აქ ორწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი და მთელი ცხოვრება დავრჩი. ჩემი ოთხი შვილი აქ დაიბადა. ჩემი სახლი ყოველთვის მადრიდში იყო. მე ვთამაშობდი "ბარსელონაში", მაგრამ ჩემი მეუღლე მადრიდში რჩებოდა, ჩვენს სახლში.

**- ფეხბურთით ყველაზე დიდ სიამოვნებას თქვენ ღებულობდით.**

- ჩემი ისტორია ყოველთვის დაკავშირებული იყო ბურთთან. მუდამ ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი. ახლაც იმ გრაფიკს მივდევ, რომლითაც ფეხბურთელობის ჟამს ვცხოვრობდი. დიახ, ჩემი ცხოვრება ფეხბურთია.

**- აქ, მადრიდის "რეალის" ვეტერანთა ასოციაციაში ყოველთვის მოისმენ წინა დღის, უკანასკნელი კვირის ან ერთი თვის წინანდელი მატჩების განხილვას.**

- რა თქმა უნდა. ვცდილობ, რომ მაქსიმალური რაოდენობის მატჩები ვიხილო. მე ეს მიყვარს. ვუყურებ "რივერ პლეიტის" თამაშებს, მაინტერესებს, თუ როგორ ვითარდება იქაური ჩემპიონატი. მე ბევრ ფეხბურთს ვუყურებ და ეს ძალიან მომწონს. ერთ დღეს იტალიურ ფეხბურთში ჩავეფლობი, მეორე დღეს ფრანგულში, შემდეგ ინგლისელებს შევხედავ, არგენტინის ჩემპიონატს...

**- მოგვითხრეთ "რივერ პლეიტზე". ფეხბურთის თამაში თქვენ იქ დაიწყეთ...**

- "რივერ პლეიტი" ის გუნდია, რომელშიც მე გავიზარდე. ამ გუნდს ყველაზე დიდი ტრადიციები აქვს არგენტინაში. "ბოკა ხუნიორსთან" ერთად... მათ ახალგაზრდა ტალანტების შესანიშნავი ფაბრიკა აქვთ, მადრიდში ამას კანტერას ვუწოდებთ. აგრეთვე არაჩვეულებრივი გულშემატკივრები გააჩნიათ, სტადიონები მუდამ გადაჭედილია. არგენტინაში ფეხბურთის უამრავი გულშემატკივარი ცხოვრობს.

**- სანტიაგო ბერნაბეუს თასისათვის და თქვენი იუბილეს ასაღნიშნავად "რივერ პლეიტი" შესანიშნავი მოწინააღმდეგეა.**

- უნდა ვაღიარო, რომ მეტოქე მართლაც კარგად იქნა შერჩეული. იმასთან ერთად, რომ მე იქ გავიზარდე, "რივერ პლეიტი" უდიდესი გუნდიც არის. ამერიკას და ევროპას შორის პაექრობა ყოველთვის საინტერესო იყო.

**- ქვეყანაში ახლა მხურვალე დებატები მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რომელი "რეალი" სჯობს – თქვენი თუ დღევანდელი.**

- ჩემს ეპოქაში შესანიშნავი კოლექტივი და დიდი ფეხბურთელები იყვნენ. ხუთი ფეხბურთელი თამაშობდა დაცვაში და ხუთი უტევდა მეტოქის კარს. "რეალს" ახლაც უძლიერესი გუნდი ჰყავს. ჩვენსა და დღევანდელ ეპოქებს შორის განსხვავება ის არის, რომ ახლა უზარმაზარი რეზონანსია მთელს მსოფლიოში.

**- მაგრამ თქვენი "რეალი" ისეთივე დიდი რაოდენობის ხალხს უყრიდა თავს, როგორსაც დღევანდელი.**



"რეალის" წარსული და მომავალი - დი სტეფანო და ბექჰემი.

- ცხადია. ჩემს დროს, "სანტიაგო ბერნაბეუზე" 120 ათასი ადამიანი იკრიბებოდა ჩვენს სანახავად. ეს იყო იმ რაოდენობის მაქსიმუმი, რა რაოდენობის დატევაც შეეძლო მაშინ სტადიონს. ბერნაბეუმ იმიტომ ააშენა ეს სტადიონი, რომ იცოდა, ხალხი მას გაავსებდა. ახლა აქ 80 ათასი კაცი იკრიბება. გულშემატკივრებს ყოველთვის ჰქონდათ ენთუზიაზმი და ახლაც აქვთ. დიდი განსხვავება არც არის, ჩვენ ისეთივე ფეხბურთელები ვიყავით, როგორებიც ახლა არიან "რეალში".

**- "რეალში" გატარებული 50 წლის მანძილზე მსოფლიოს გარშემო ბევრს მოგზაურობდით?**

- დიახ. იყო ხანგრძლივი ტურნეებიც. ამხანაგურ მატჩებს ვატარებდით დედამიწის საპირისპირო წერტილებში. ვიწყებდით ურუგვაიდან და ვამთავრებდით ნიუ-იორკით. ქალაქიდან ქალაქში გადავდიოდით. რომელილაც წელს ვანკუვერშიც კი ვითამაშეთ მატჩი.

**- ადევნებთ თვალყურს დღევანდელ ხელფასებს? რამდენს მიიღებდა ახლა XXI საუკუნის დი სტეფანო?**

- *(მისი სახე სერიოზული ხდება).* მე არ ვცხოვრობ მოგონებებით და არ მიმაჩნია, რომ ჩვენს თაობას ნაკლებად გაუმართლა. ჩვენ იმას ვიღებდით, რასაც ვიმსახურებდით. ეს სხვა დრო იყო, სხვა ცხოვრება. ჩვენ ჩვენს გასამრჯელოს ვიღებდით და ჩვენზე უფროსები თვლიდნენ, რომ ზედმეტს გვიხდიდნენ. მგონი, დროთა განმავლობაში ჩვენც დავიწყებთ ასე ფიქრს.

**- და რამდენი გადაიხადეს თქვენს მაშინდელ ტრანსფერში?**

- არასოდეს მკითხოთ ამის შესახებ, რადგან ამ კითხვას არასოდეს ვუპასუხებ. ეს მხოლოდ მე ვიცი.

**- ბოლო კითხვა. რას ფიქრობთ მადრიდის "რეალზე" ამ სეზონში?**

- ეს სანახაობაა, ეს ხელოვნებაა. მიხარია, როდესაც ვუყურებ მათ. თუ როგორ დარბიან, როგორ იბრძვიან ყოველ მატჩში. ძალიან მომეწონა, თუ როგორ დაიწყეს მათ ეს სეზონი.

**- გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ, რომ მადრიდში მოსვლიდან კიდევ მრავალი წელი აგეღნიშნოთ.**

- მადლობთ.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ გამოთქვა რწმენა, რომ მისი გუნდი წელს მეოთხედ მოიპოვებს უეფას თასს და ამ მაჩვენებლით ევროპული ფეხბურთის ლიდერი გახდება. ამასთან, ულიე გულშემატკივრებს აფრთხილებს, რომ "ლივერპულს" პირველი წრის შეხვედრებშიც კი არ ექნება იოლი გასეირნება და ამის დასტურად კლუბის ქომაგებს ჩეხეთის "ლიბერეცთან" შარშანდელ მატჩებს ახსენებს. შეგახსენებთ, რომ "ლივერპული" ამჯერად ლიუბლიანის "ოლიმპიასთან" არკვევს ურთიერთობას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ვალენსიას" ხელმძღვანელობა არგენტინელი მცველის რობერტო აიალას დასჯას აპირებს. ამ ფეხბურთელმა ესპანური კლუბის შემადგენლობაში ერთი თამაშიც არ ჩაატარა და გამუდმებით იმიზეზებს ჯანმრთელობის ცუდ მდგომარეობას. თუმცა, "მესტალიაზე" ეჭვობენ, რომ აიალას სურს კლუბის ხელმძღვანელობა გააცუროს და შემდეგ სასწრაფოდ სხვა გუნდში გადავიდეს. აღსანიშნავია, რომ ზაფხულში "ვალენსიამ" არგენტინელი მადრიდის "რეალს" არ მიჰყიდა, რითიც აიალა ფრიად უკმაყოფილო დარჩა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური "ას"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში "მილანის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა რივალდომ აღიარა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში. "თუმცა, კონტრაქტის მიხედვით "მილანში" კიდევ ორი წლით უნდა დავრჩე. არადა, "რეალში" გადასვლით უაღრესად მოხარული დავრჩებოდი. ვიმედოვნებ, რომ კლუბები ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწევენ". შეგახსენებთ, რომ რივალდო "მილანში" შარშანდელ სეზონში გადავიდა, მაგრამ ძირითადში ადგილი ვერაფრით დაიმკვიდრა. "მილანამდე" ბრაზილიელი "ბარსელონას" ღირსებას იცავდა და ესპანური კლუბი ჰოლანდიელი სპეციალისტის ლუის ვან გაალის მოსვლის შემდეგ დატოვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "სანის" ცნობით, ლონდონის "ტოტენჰემი", რომელმაც კვირას თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი მწვრთნელი გლენ ჰოდლი, გერმანელ კლაუს ტოპმიოლერთან მოლაპარაკებას აწარმოებს. თუმცა, ამ კვირაში საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება, რადგან კლუბის პრეზიდენტი დანიელ ლევი თაფლობის თვეს ატარებს. ტოპმიოლერი "ტოტენჰემის" წარმომადგენლებს კონტრაქტის პირობებზე ელაპარაკება, მაგრამ ლევი მხოლოდ შაბათს დაბრუნდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "სანტიაგო ბერნაბეუზე" ზარ-ზეიმით აღინიშნა სამეფო კლუბში დიდი ალფრედო დი სტეფანოს დებიუტის 50 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად ერთმანეთს მადრიდის "რეალი" და არგენტინის "ბოკა ხუნიორსი" შეხვდნენ. ესპანელებმა - 3:1 გაიმარჯვეს. ერთი გოლი სანტიაგო სოლარის ანგარიშზეა (55). ხოლო "ბოკას" კარში ორი გოლი ხავიერ პორტილიომ გაიტანა (58, 70). არგენტინელთა მხრიდან თავი ლუის განსალესმა გამოიჩინა (80). ამ მატჩში კარლოს კეიროშმა დასვენების საშუალება მისცა ზიდანს, ბექჰემსა და რობერტო კარლოსს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ სამშაბათს განაცხადა, რომ "იუვენტუსის" ნახევარმცველ ედგარ დავიდსს სეზონის ბოლოს შეიძენს. ივნისში დავიდსს განაცხადში შევიყვანთ - თქვა სენსიმ - ჩვენ ედგარს მაშინ გავესაუბრებით, როცა ის თავისუფალი აგენტი გახდება. მაშინ ჩვენ შეგვეძლება დავიდსს კარგი კონტრაქტი შევთავაზოთ".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ისრაელის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ელი კოენი, ქვეყნის ჩემპიონატის ორი მსაჯი და საერთო ჯამში 13 ადამიანი ფეხბურთთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის თაღლითობაში ამხილეს. ამ საქმის გამოძიებას ისრაელის სამართალდამცავები წელიწადნახევრის განმავლობაში აწარმოებდნენ. 13 ადამიანი ბრალდებულია თაღლითობასა და მექრთამეობაში, რომელიც ტოტალიზატორებს უკავშირდება. საქმეში ფიგურირებს ბასემ სულიმანის გვარიც. სულიმანი ისრაელის ფეხბურთის ასოციაციის წევრია.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** ბელგიის ნაკრების ხელმძღვანელობამ შემადგენლობიდან იოჰან მიუზეუვი გარიცხა. ამრიგად 37 წლის სპორტსმენი არ გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც კანადაში გაიმართება. ამის მიზეზი მიუზეუვის დაკითხვები გახდა. ბელგიის პოლიციამ მის სახლში ჩხრეკა ჩაატარა და სპორტსმენი 10 საათის განმავლობაში დაკითხვაზე ჰყავდა. პოლიციის აზრით, მიუზეუვი დოპინგთან დაკავშირებულ აყალმაყალში არის გარეული.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** ირლანდიის მძლეოსნობის ასოციაციამ 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა 1500 მეტრ დისტანციაზე მორბენალ, 33 წლის ჯერალდინ ჰენდრიკენს. მას სისხლში ნანდროლონი აღმოუჩინეს. მორბენლის თქმით, აკრძალული პრეპარატი მის ორგანიზმში შეიძლებოდა მომხვდარიყო იმ პრეპარატების მეშვეობით, რომელსაც ის იყენებს, მაგრამ მათ ეტიკეტზე არ აწერია, რომ ნანდროლონს შეიცავს. ამის მიუხედავად ირლანდიის მძლეოსნობის ფედერაციამ განაცხადა, რომ სპორტსმენი, ნებისმიერ შემთხვევაში პასუხისმგებელია იმ აკრძალულ ნივთიერებებზე, რომლებიც მის სისხლში ხვდება.

### საჩუქარი მეცნიერებისათვის

მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გერმანული გამომცემლობა SPRINGER-ის წიგნების გამოფენა მიმდინარეობს. გამოფენა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორის, აკადემიკოს მალხაზ ზაალიშვილის ინიციატივით, ღია საზოგადოება საქართველოს ხელშეწყობით და უშუალოდ SPRINGER-ის მონაწილეობით მოეწყო. საკმაოდ ძვირადღირებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა, გამომცემლობა SPRINGER-მა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას თითქმის უსასყიდლოდ (თითოეულ წიგნზე 80 პროცენტიანი ფასდაკლება, დარჩენილი 20 პროცენტი კი სოროსის ფონდმა გადაიხადა) გადასცა.

გამოფენაზე წარმოდგენილია უახლესი ლიტერატურა, ახალი ტექნოლოგიებისა და მსოფლიოს მოწინავე დარგების შესახებ.

"ჩვენ უნდა შევერჩია ის დარგები, რომლებიც დღეს განვითარებულია საქართველოში და რომელთაც სამომავლო პერსპექტივა აქვთ. მსგავსი გამოფენები წინა წლებშიც იყო და ვგონებ, რომ ეს ტრადიცია კვლავ გაგრძელდება. ჩაფიქრებული მაქვს მოვაწყო კემბრიჯისა და ოქსფორდის გამოფენები, ასევე ვაპირებთ თანამშრომლობას ამერიკის ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან", - აღნიშნა ბატონმა მალხაზ ზაალიშვილმა.

პირველად SPRINGER-ის გამოფენა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 1978 წელს მოეწყო. მას შემდეგ გერმანულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის გამოფენა კიდევ რამდენჯერმე გაიმართა, თუმცა უსახსრობის გამო ამ გამომცემლობასთან ურთიერთობა შეწყდა. ტრადიცია განახლდა, დღევანდელი გამოფენის ინიციატორი პირადად SPRINGER-ის დირექტორია.

გამოფენა 30 სექტემბრამდე გაგრძელდება. რის შემდეგაც 1998-2000 წლების, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეინახება.

### გაფიცვა მუზეუმში

ცნობილი ბერძნული აკროპოლისი ექსკურსანტების გარეშე დარჩა. ამის მიზეზი მუზეუმის თანამშრომლების გაფიცვაა. ისინი ხელფასების გაზრდას მოითხოვენ. დემონსტრანტებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, რის გამოც ათასობით ტურისტის სურვილი, დაეთვალიერებინათ ანტიკური ძეგლი, ვერ შესრულდა. ტურისტებმა აკროპოლისთან მისასვლელთან გაფიცულთა კედლის გარღვევა მოუწიათ.

### Kiss-ის დაბრუნება

ცოტა საოცარი სანახაობაა: სცენაზე მთელი სიმფონიური ორკესტრი ზის, სრულიად განსაკუთრებულად ჩაცმული და მოხატული. მუსიკოსები ისევე არიან მოხატული, როგორც ლეგენდარული Kiss-ის წევრები, რომლებიც ორკესტრის წინ ჩამომდგარან და გიტარასა და დასარტყამ ინსტრუმენტებს "აწვალებენ".

ეს არც სიზმარია და არც ხუმრობა – სწორედ ასე გამოიყურებიან "როკ-დინოზავრები" და მელბურნის სიმფონიური ორკესტრი, რომლებმაც ერთობლივად კომპაქტ-დისკი და ციფრული ვიდეოდისკი ჩაწერეს და ამჟამად, Kiss-ის მრავალწლიანი შესვენების შემდეგ, ახალ მსოფლიო ტურნეს იწყებენ.

ეს ალბომი უკვე ნაცადი ნიმუშის მიხედვითაა შექმნილი: "სიმფონიური ორკესტრი ამის და ამის მუსიკას უკრავს". 62 მუსიკოსის როლი მხოლოდ ფონის შექმნით იფარგლება. ძირითადი თემა Kiss-ის გიტარებს ეკუთვნის. ეს კვლავ როკია, ორკესტრი მის ძალასა და დინამიკაზე ზრუნავს, და როკის კლასიკად ქცეული I Was Made For Loving You, მართლაც, ძალიან შთამბეჭდავად ჟღერს.

Kiss-ის დაარსების შემდეგ უკვე 30 წელია გასული, და მის წევრებს უკვე "როკის ბაბუების" რიცხვს მიაკუთვნებენ. ერთ დროს პროვოკაციული შავ-თეთრი მაკიაჟი დღეს შოკში აღარავის აგდებს – მერილინ მენსონმა ყველას აჯობა.

ალბათ, ძნელი იყო ამ ასაკში თავაშვებული როკის შესრულება? "სულაც არა," ასეთი იყო 54 გიტარისტის, სიმონსის პასუხი, "და ფეხებშუაც ყველაფერი ჩინებულად ფუნქციონირებს". ეს განცხადება მან მოგვიანებით განმარტა: "კონცერტის დროს ის მიხარია, რომ მისი დამთავრების შემდეგ სექსით დავკავდები". როგორც ჩანს, მასთან საქმის დაჭერის მსურველები არ ილევიან, და ცნობილია, რომ განსაკუთრებით საპატიო პარტნიორებისთვის სიმონსი მაკიაჟსაც არ იშორებს ხოლმე.

ეს მაკიაჟი 30 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. ის საშინელებათა ფილმებისა და კომიქსების სიყვარულითაა ნაკარნახევი. ამ "სილამაზის" შექმნას მუსიკოსები კონცერტამდე ორი საათით ადრე იწყებენ, და ამ საპასუხისმგებლო საქმეს უცხოს არავის ანდობენ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში Kiss-ის წევრებმა შეუღებავი სახეც გვანახეს. ისე კი, შავ-თეთრები აშკარად უკეთ გამოიყურებიან...

# გია ბუღაძე ძველ და სულ ახალ გალერეებში

ანა კორძაია-სამადაშვილი


იუბილარი გია ბუღაძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ორიოდე წლის წინათ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც თავად რესპონდენტსაც თითქმის აღარ ახსოვდა და მეც სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში, გია ბუღაძემ თქვა, რომ "როდესაც საზოგადოება ორიენტირებსა და იმედს კარგავს, ის ორი მიმართულებით იწყებს მოძრაობას: ინტელექტუალები დეპრესიაში ვარდებიან, მოსახლეობის ნაკლებად განათლებული ნაწილი კი აგრესიული ხდება, და ამ დროს მისთვის მორალი და ზნეობა აღარ არსებობს".

თითქოს სადავო არაფერია, მაგრამ ამ გამონათქვამის პირველი ნაწილი დღეს უკვე აშკარად ეჭვს ბადებს: თავად ბატონი გია აშკარად ინტელექტუალთა კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ დეპრესიულობას მაინც ვერ დავაბრალებთ – დეპრესია ხომ გარკვეულწილად რამის კეთების უნარს გამორიცხავს. ის კი, რაც გუშინ "ძველ გალერეასა" და მის მეზობლად ამ ექსპოზიციით გახსნილ გალერეა L&K-ში ვიხილეთ, მხატვრის ერთწლიანი მუშაობის შედეგია, უფრო სწორედ, მისი მცირე ნაწილი: მის მიერ მოხატულ მრავალ დარბაზს და კედელს, ცხადია, გალერეაში ვერავინ გამოფენდა, თავად მხატვრის თქმით, ფერწერული ტილოებიც არაა სრულად წარმოდგენილი.

ეს უკვე ტრადიციად იქცა: გია ბუღაძე თავის დაბადების დღეს ახალი გამოფენით აღნიშნავს. წლების განმავლობაში მისი მასპინძელი – ერთ-ერთი მაინც - "ძველი გალერეა" იყო ხოლმე. წელს, როგორც მოგახსენეთ, დაბადების დღეს ორ საგამოფენო სივრცეში ვზეიმობდით, და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვით გალერეა L&K-ზეც შევჩერდებით.

პატარა სიონის ქუჩას, რომელზეც, "ძველი გალერეის" კვალდაკვალ, მრავალი საინტერესო სახელოსნო თუ დარბაზი გაიხსნა, კიდევ ერთი კულტურის კერა შეემატა - ცისფერი გალერეა. რაც მთავარია, L&K-ს მოლიმარი და მომხიბვლელი დიასახლისი ჰყავს – ქალბატონი ლიკა კვესელავა, რომელიც ფრიად კმაყოფილია იმით, რომ მისი "პირმშო" პირველად ასეთი მშვენიერი ექსპოზიციით აღებს კარს.

L&K-ში გამოფენილ ტილოებს ავტორმა "დრამატურგია" უწოდა, ზღაპრულ პეიზაჟებს კი, რომლებიც "ძველი გალერეის" დარბაზის კედლებს ამშვენებს – წმინდა წყლის ემოცია. უნდა ვაღიარო, რომ სანამ ბატონი გია არ იტყოდა, უზარმაზარ ტილოებზე გამოსახული, ნახევარღმერთთა მსგავსი ფიგურების რამე სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირება აზრადაც არ მომივიდოდა, ამიტომ მათ ანალიზს ხელოვნებათმცოდნეებს მივანდობ. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ გუშინდელმა გამოფენამ "ძველი ბუღაძე" მომაგონა, თუნდაც მისი "ქართლის ცხოვრება" (ეს შიშით გავუზიარე, ვიფიქრე, ვაიდა, თვითონ არ უყვარს თავის შემოქმედების ის ხანა-მეთქი. მაგრამ გადავრჩი, არ ეწყინა). ყოველი ტილო ცალკე სამყაროა, იდუმალი ჩრდილებით, მრავალი ფიგურით, რომელსაც ერთი შეხედვით ვერც აღმოაჩენთ. ბატონ არჩილ დარჩიას თქმით, გია ბუღაძის ხელოვნების ძირითადი დამახასიათებელი თვისება ახლისკენ ლტოლვაა, მაგრამ მე მაინც ყველაფერს ის ნახატები მირჩევნია, სადაც გია ბუღაძისეული სიზმრის მსგავსი სამყაროა გამოსახული.

# 35 ნამუშევარი, 13 პრემია და ქართული დიზაინი

თამარ სუხიშვილი


კონკურსის მთავარი ჯილდოს მფლობელები

ძალიან მიხარია, რომ ამ სახლის წინ ამდენი ხალხი შეიკრიბა. ნეტავ, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ყოველდღე ასეთი ხალხმრავლობა იყოს, - ამბობს არქიტექტორი გია აბულაძე.

გუშინ ღია ცისქვეშ მუზეუმს მართლაც რომ ბევრი სტუმარი ჰყავდა, ისინი მოუთმენლად ელოდნენ ახალი კონკურსის - "ქართული დიზაინის" გამარჯვებულების გამოვლენას. ამინდმა ნამდვილად გაამართლა და, რაც მთავარია, გაამართლა თავად კონკურსმა, რომელზეც, როგორც თავად დავრწმუნდით და ეს ჟიურის წევრებმაც დაგვიდასტურეს, საკმაოდ მაღალი დონის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

"ქართული დიზაინის" კონკურსის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ უმთავრეს დეტალებს მაინც შეგახსენებთ. კონკურსი "ქართული დიზაინი" პროექტ "ქართული სახლის" ეგიდით ჩატარდა, არქიტექტურული და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსისა" და სტუდია "ორის" ინიციატივით. კონკურსის მიზანი იყო ტრადიციული ქართული ელემენტის მოძიება და ამ ელემენტის თანამედროვე დიზაინში განხორციელება. ჟიური 11-წევრიანი იყო: არქიტექტორები - გივი მეტრეველი (ჟიურის თავმჯდომარე), ლევან მუშკუდიანი, ნანა მეფარიშვილი, გია აბულაძე, გიორგი ინასარიძე, დიზაინერი მაკა ასათიანი, მხატვარი ეკა ჯაფარიძე, მოქანდაკე ოთარ ვეფხვაძე, გამომცემელი ოთარ ყარალაშვილი, არტ-მენეჯერი ნინო სუხიშვილი და პროდიუსერი ლევან ხეთაგური.

კონკურსში 35 ადამიანი, უფრო სწორად, 35 დაშიფრული ნამუშევარი მონაწილეობდა, სტუდენტებიც და ცნობილი არქიტექტორ-დიზაინერებიც. მონაწილეთა ნამუშევრები ეთნოგრაფიული მუზეუმის შესასვლელში, ერთი ძველებური სახლის აივანზე გამოიფინა. ასე რომ, გუშინ ნებისმიერ მსურველს შეეძლო საკუთარი თვალით ენახა, თუ როგორ განავითარეს ავტორებმა პირველწყარო, როგორ მოარგეს ტრადიციული ელემენტი საკუთარ მხატვრულ ჩანაფიქრს და როგორ მიიღეს ტრადიციული დეტალიდან (ორნამენტიდან, მოხატულობიდან და ა.შ.) თანამედროვე ფორმა. სხვათა შორის, ზოგიერთი მონაწილე ისეთი ენთუზიასტი აღმოჩნდა, რომ საკუთარი ნამუშევარი (ძირითადად, ავეჯი, სამკაული და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები) ნატურალური ზომითაც წარმოადგინა, თუმცა კონკურსის პირობების მიხედვით, მაკეტი სრულიად საკმარისი იყო. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟიურიმ წესისამებრ მხოლოდ საკონკურსო მაკეტები განიხილა, უკვე დამზადებული ნივთები მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის წარმოადგინეს ექსპოზიციაში.

არჩევანის გაკეთება ჟიურის წევრებს ცოტა არ იყოს გაუჭირდათ, რადგან 35 ნამუშევარში ასარჩევი ბევრი იყო. დიდი დისკუსია გაიმართა ჟურნალისტების ალტერნატიული ჟიურის მუშაობის დროსაც. ჟურნალისტებისთვის ყველაზე სასიხარულო კი ის იყო, რომ მათი აზრი პროფესიული ჟიურის გადაწყვეტილებას დაემთხვა - ჟურნალისტების სპეციალური პრემია პირველი პრემიის მფლობელებს გადაეცა.

"ქართული დიზაინის" კონკურსზე სულ 13 პრემია გაიცა: ექვსი წამახალისებელი, ერთი ალტერნატიული ჟიურის, სამი III, ორი II და ერთიც I. პრემიები ასეთნაირად განაწილდა:

კომპანია "არსის" მიერ დაწესებული 200 ლარიანი **წამახალისებელი პრემიები**:

1. მაკა სამარღანაშვილი, "საგამოფენო დარბაზი"
2. მურთაზ ბერაია, "სკამი"
3. მალხაზ რუსაძე, მედალიონი "მზე"
4. კოკა ამირეჯიბი, "ქუხი"
5. მურთაზ ბერაია, "საწოლი"
6. ზაზა ლოდია, ზარდახშა

**III პრემია**, სტუდია "ორი", "ჯი-პი-აი" ჰოლდინგი, ვალერი გელაშვილი, 1000 ლარი

მურთაზ ბერაია, ტახტი

კახა ჩომახიძე, "ჭიშკარი, ღობე და გარე განათება"

მურთაზ ბერაია, "მრავალფუნქციური სვეტი"

**II პრემია**, TBC ბანკი, მინისა და მინერალური წყლების კომპანია, 2000 ლარი

დიმიტრი შაფაქიძე, დიზაინი მობილური ტელეფონისათვის "ჩურჩხელა"

მარიკა სანაია, სოსო ალავიძე, "საცხოვრებელი სახლი"

**I პრემია**, კომპანია "ორი", კომპანია "არსი", 4000 ლარი

ლევან ასაბაშვილი, ვახტანგ კასრელიშვილი, "გვირგვინი" - დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლი

**სპეციალური პრიზი ჟურნალისტების რჩეულისათვის**, საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა", 500 ლარი

ლევან ასაბაშვილი, ვახტანგ კასრელიშვილი, "გვირგვინი"

"ნამდვილად არ ველოდებოდით გამარჯვებას, - გვეუბნებიან მოულოდნელობისგან დაბნეული პირველი პრემიის მფლობელები, - უკვე წასვლას ვაპირებდით და სწორედ ამ დროს გამოგვაცხადეს."

ლევან ასაბაშვილმა და ვახტანგ კასრელიშვილმა საცხოვრებელი სახლისათვის ბაზისურ ელემენტად ტრადიციული ქართული გვირგვინი აიღეს, მათი ნამუშევრის პირველწყარო ახალციხის დარბაზული სახლი იყო. დამზადებული მაკეტი პირველწყაროს ასეთ განვითარებას ასახავს: გვირგვინი იატაკის დონემდე იზრდება და მასში ექცევა დარბაზის სივრცე... მასალა პლასტმასის პროფილია მეტალის კარკასით და თბოიზოლაციით. გამარჯვებულ ავტორთა აზრით, ეს გეგმარებითი სტრუქტურა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ქალაქის გაშენიანებაში, ისე მის გარეთ.

კონკურსის ორგანიზატორებს უყურადღებოდ არცერთი მონაწილე არ დაუტოვებიათ. ყველა მათგანს მადლობის სიგელები გადასცეს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კონკურსის შედეგები ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა მურთაზ ბერაიასთვისაც. მართლაც რომ, იშვიათი შემთხვევაა. მურთაზ ბერაიამ ოთხი ნამუშევარი წარმოადგინა კონკურსზე და ოთხივემ პრემია მიიღო.

# "ბოევიკების" მოყვარულებს გიჯობთ, სახლში დარჩეთ

## იწყება თბილისის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალი



თეონა ჯაფარიძე

"პრეტენზიულები არ ვართ, მაგრამ თრილერების, ბოევიკებისა და საშინელებათა ფილმების მოყვარულებს ვურჩევთ სახლში დარჩნენ იმიტომ, რომ თბილისი ექვსი დღის განმავლობაში ევროპული და ამერიკული კინოს ბოლო სამი წლის ისეთ პროდუქციას უმასპინძლებს, რომელსაც ინტელექტუალური კინო ჰქვია", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თბილისის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ.

შეგახსენებთ, ფესტივალმა ფეხი თბილისში ამ ოთხი წლის წინათ აიდგა. თავდაპირველად ის ხელოვნების ფესტივალ "საჩუქარის" კინოპროგრამას წარმოადგენდა. ბოლო ორი წელი კი დამოუკიდებლად, საერთაშორისო კინოფესტივალის სტატუსით აგრძელებს არსებობას და თბილისელებს იმ არაკომერციული ფილმებით უმასპინძლდება, რომელსაც მომავალში "ოსკარის" ჟიურისა თუ კანისა და ბერლინის კინოფესტივალების პუბლიკას უჩვენებენ.

რას გვპირდება წლევანდელი თბილისის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალი - პირველ რიგში, თბილისში დიდი მაესტროს ოთარ იოსელიანის ჩამოსვლას თავისი ახალი ფილმით "ორშაბათის დილა", რომლითაც 30 სექტემბერს კინოთეატრ "ამირანში" ფესტივალი გაიხსნება.

ფესტივალზე წარმოდგენილ საკონკურსო ფილმებს საკმაოდ ავტორიტეტული ჟიური შეაფასებს: ჟიურის თავმჯდომარე ცნობილი კინომცოდნე, წარსულში სან ფრანცისკოს კინოფესტივალის დირექტორი შემდეგ კი ნიუ იორკში რობერტ დე ნიროს ფესტივალის სახელით ცნობილი "ტრიბეკას" ფესტივალის წარმომადგენელი პიტერ სკარლეტი გახლავთ. როგორც გაგა ჩხეიძემ განაცხადა, პიტერ სკარლეტი თბილისში ქართულ ფილმებსაც გაეცნობა. საერთოდ კი ფესტივალზე (ჟიურის თავმჯდომარეობის გარდა) ამერიკულ ფილმებს წარმოადგენს, რომლებიც საერთო სახელწოდების ქვეშ Made in New York იქნება წარმოდგენილი. ერთი სიტყვით, ფესტივალზე თბილისელი მაყურებელი იმ ამერიკულ ფილმებს ნახავს, რომლებიც ნიუ იორკის ალტერნატიულ სტუდიებშია შექმნილი და რომლებიც მკვეთრად და პრინციპულად ემიჯნება ჰოლივუდურ კინოს.

ჟიურის დანარჩენი წევრები არიან: გერმანელი კინორეჟისორი ჰელმა ზანდერსბრამსი, გილი მენდელი - ისრაელიდან, საქართველოს ძველი მეგობარი იტალიელი ჯაკომო მარტინი, რომელმაც რამდენჯერმე ქართული ფილმების ჩვენება მოაწყო იტალიაში და რა თქმა უნდა, ცნობილი ქართველი კინოკრიტიკოსი გიორგი გვახარია. თბილისის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალი საკონკურსო ფილმებიდან საუკეთესო რეჟისორსა და საუკეთესო ფილმს ოქროსა და ვერცხლის "პრომეთეთი" დააჯილდოებს (პრიზის ავტორია მოქანდაკე გია ჯაფარიძე).

ფესტივალის ფარგლებში კინემატოგრაფიის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი თარიღიც აღინიშნება: ეს მიხეილ კალატოზიშვილის ასი წლის იუბილე გახლავთ. ფესტივალის გახსნის დღეს კინოთეატრ "ამირანში" დიდი რეჟისორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა გაიხსნება. ფესტივალის პროგრამაში კი ერთი საღამო კალატოზოვის ფილმებს დაეთმობა.

" ბერლინის კინოფესტივალისაგან განსხვავებით, რომელსაც ოცი კინოდარბაზი მასპინძლობს ხოლმე და ბიუჯეტი 5 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს თბილისის კინოფესტივალს ორი კინოდარბაზი - "ამირანი" და კინოს სახლი უმასპინძლებს. თბილისის კინოფესტივალი კი სულ 12 ათასი ამერიკული დოლარი ჯდება, თანაც დიდ დახმარებას ამერიკისა და საფრანგეთის საელჩოები გვიწევენ", - ასეთი პროპორციები და ციფრები დაგვისახელა საუბრის დასასრულს ფესტივალის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ. საერთოდ, მისი საუბრიდან გამომდინარე, წინასწარ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თბილისელი მაყურებელი საკმაოდ ძვირადღირებულ სიამოვნებას, ძალიან იაფად მიიღებს: ბოლო სამი წლის განმავლობაში შექმნილ დასავლურ კინოპროდუქციას, რომელიც "არაკომერციული კინოს" ნიშნის ქვეშ არის გაერთიანებული, და რომელსაც მხოლოდ ნამდვილი კინოს მოყვარულები ეტანებიან.

სვეტი



# პირადი ბიბლიოთეკა

## ანუ შევხვდებით ყოველ ხუთშაბათს

მალხაზ ხარბედია

დავწერე თუ არა სვეტის ეს სათაური ("პირადი ბიბლიოთეკა"), დავეჭვდი.

არა, თავისთავად სათაურს არა უშავს, მაგრამ, საქმე ის არის, რომ იგი ყოველ კვირა უნდა დაადგეს თავს ამ სვეტს კაპიტელივით და ვშიშობ, მკითხველს არ მობეზრდეს ასეთი ერთსახოვნება. მართალია, სათაურქვეშ ყოველ კვირა სხვადასხვა ავტორი და ნაწარმოები გამოჩნდება, სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნებისა, მაგრამ მაინც, ხომ იცით....

თავიდან, მინდოდა ასე დამერქმია ციკლისთვის: "რატომ უნდა წავიკითხოთ..." და შემდეგ რომანის სახელწოდებას დავსვამდი, რომელიც იმ კონკრეტული კვირისთვის მექნებოდა ამორჩეული; გამოვქექავდი, შეგახსენებდით, გაგაცნობდით. მაგრამ მერე ვიფიქრე, რა გინდა, მაგ საქადაგო კათედრას რომ ეპოტინები, რა შენი საქმეა, რა უნდა წაიკითხოს ამ პატიოსანმა მკითხველმა მეთქი... გადავიფიქრე და ისევ ჩემმა დაფანქრულ-დახაზულმა წიგნებმა მიკარნახეს: "პირადი ბიბლიოთეკა".

ახლა ვნახოთ, რას ნიშნავს "პირადი ბიბლიოთეკა."

იგი არ გულისხმობს მთელ ჩემს ბიბლიოთეკას, არამედ მხოლოდ იმ წიგნებს, უფრო ზუსტად კი, რომანებს, რომლებიც თავის დროზე გადავღეჭე, ახლა ვუზივარ, ან მომავალში წავიკითხავ. ამიტომ ეს "პირადი" - ნათხოვარ წიგნებსაც მოიცავს. მართალია, ახლა ისინი სხვის წიგნის თაროებზე აწყვია, მაგრამ წაკითხული მაქვს და მასზე რამის დაწერა რომ მომინდეს, გავიხსენებ, ანდა ვითხოვ და ახლიდან გადავავლებ თვალს.

ეს "პირადი ბიბლიოთეკა" ჩემი წიგნების დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენს და ამ 5 პროცენტითაა, რომ შევუდექი სვეტების წერას. როცა გადავთვალე, არც ისე ცოტა გამოვიდა, რამდენიმე წელიწადს მეყოფა, თანაც ამას მომავალში წაკითხულიც დაემატება და ვიქნები ასე, წაკითხულის გახსენებაში, ავიწყობ ცხოვრებას. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, რადგან ყველაფერზე ხო არ დავწერ, არამედ იმაზე, რამაც შემძრა, გამიტაცა, მიშველა, რაღაცისკენ მიბიძგა და ა.შ. ასეთი ნაწარმოებები ბევრია და ზოგიერთი არც მახსოვს კარგად და ვერც ვერაფერს დავწერ, თუ ახლიდან არ წავიკითხე.

მაგალითად, რამდენიმე ჩემს საყვარელ წიგნზე ძალიან გამიჭირდება დაწერა: დოსტოევსკის "ეშმაკნი"-ზე, აპულეუსის "ოქროს ვირზე", სერვანტესის "დონ-კიხოტზე", "ჯაყოს ხიზნებზე", თომას მანის "ჯადოსნურ მთაზე", ფოლკნერის "ხმაური და მძვინვარებაზე" (ამ რიგის შევსება უსასრულოდ შეიძლება) და მათი გადაკითხვის გარეშე, ასე, ზოგადად, მიდებ-მოდებითა და ძველი შთაბეჭდილებებით დაწერას ვერ გავბედავ. სამაგიეროდ, სხაპა-სხუპით ჩავარაკრაკებ "პატარა უფლისწულს", იოზეფ როტის "რადეცკის მარშს", კაფკას "ციხე-სიმაგრეს", "სურამის ციხეს", და იმავე ფოლკნერის "სოფელს".

რატომ? იმიტომ, რომ ახლახანს წავიკითხე, ან გადავიკითხე ეს წიგნები. და სწორედ აქ მივადექით მთავარ თემას, რამაც ამ ციკლის დაწყება მაიძულა. თემას ვეძახი, თორემ, უფრო ავადმყოფობა ჰქვია და ლათინურად მას amnesia in litteris-ს უწოდებენ, ანუ ლიტერატურული მეხსიერების დაკარგვას. პატრიკ ზიუსკინდმა რამდენიმე წლის წინ კარგი სალაღობო წერილი უძღვნა ამ საკითხს და იქ ერთი, ირონიული სევდით აღსავსე ტირადაც "გაარტყა": "მალე, ალბათ, ჩემი ცნობიერება მხოლოდ სიტყვების დამახსოვრებასღა თუ შეძლებს, სიტყვებისა, რომლებიც გაუგებარი ტექსტის ბურუსიდან გამოცურდებიან, მოწყვეტილი ვარსკვლავებივით უკანასკნელად გაკრთებიან, რათა სრული დავიწყების მღვრიე დინებას მისცენ თავი"-ო.

არადა ყველა დამეთანხმებით, რომ, მართლაც, ასეა. "ვეფხისტყაოსნის" შინაარსს ვერ გავიხსენებთ ხოლმე, სამაგიეროდ, სულ პირზე გვაკერია: "გველსა ხვრელით ამოიყვანს..." და ა.შ. ასევე, თითქმის გაუგებარი, უსასრულო წარსულში დანთქმული ტექსტის ბურუსიდან გამოკრთება: "აგრე ვიცის ჯაყომა!", "ეს ხომ ელემენტარულია, ვატსონ", "იყო მერვესა წელსა...", "ერთი ყველასათვის...", "ამაღამ ვახშმად რა გვაქვს?", "ტომ! პასუხი არ არის..."

ჩვენც, დეიდა პოლივით, ვუხმობთ ამა თუ იმ ტექსტს და იქიდან არავინ გვეხმიანება ხოლმე, ჰოდა მეც ჭკუა ვისწავლე, გადავწყვიტე, თავსაც შევახსენო და თქვენც გაგახსენოთ ის ძველი წიგნები, ადრე რომ ღამეები გვითენებია მათზე თავდახრილებს და მინდა, ახალი რამეებიც გაგაცნოთ, სულ ცოტა ხნის წინ რომ წავიკითხე.

ისევ პატრიკ ზიუსკინდის ერთი შენიშვნა მინდა დავიმოწმო, ამნეზიის გამო მერიკესა და ჰოფმანსტალს, ჯოისსა და ბეკეტს ვურევ ერთმანეთშიო და მეც რამდენიმე კურიოზი გამახსენდა ამ თემაზე, როცა ერთმანეთში ურევდნენ დილან ტომასსა და ბობ დილანს, ჟორჟ სანდსა და მადამ დე სტალს, რობერტ ვალზერსა და მარტინ ვალზერს, დ`ანუნციოსა და ლამპედუზას, მალროსა და მარლოს, კორტასარსა და კასარესს... განა უცოდინრობით მოსდიოდათ ეს, არამედ უბრალო გულმავიწყობით და სანამ გავუტევ და თავად გამოვიგონებ ამნეზიის ასეთ "მარგალიტებს", დაგემშვიდობებით. მომავალ ხუთშაბათს კი პაემანს დაგინიშნავთ, "პირადი ბიბლიოთეკის" პირველ გმირთან შესახვედრად.

# ველანიდან ბაზრობაზე

ნინო ქანიშვილი

რიჩარდ ველანის "ლაითი" ლექციიდან (ამერიკული ფოტოჟურნალისტიკა კაპას შემდეგ), რომელიც ნამდვილ სიამოვნებას მოჰგვრიდა ნებისმიერ ადამიანს, ხალისიანი განწყობითა და ამერიკული ღიმილით, კულტურის საერთაშორისო ბაზრობის "კავკასია 2003-ის" შტაბბინაში ამოვყავი თავი.

არა მარტო შტაბბინაში არსებული გარემო "ჰირსტისეული ტრაპეზის ნარჩენებით", არამედ თვით კულტურის საერთაშორისო ბაზრობის ბიულეტენიც ნამდვილი თბილისური ბაზრობის შეუდარებელ ნიმუშებს წარმოადგენენ.

საერთაშორისო ბაზრობის საინფორმაციო ბიულეტენის ერთი თვალის გადავლებაც საკმარია, რომ თბილისურ რეალობაში ამოჰყო თავი და უცებ გადაგავიწყდეს ველანის ლექცია რომანტიკულ ფოტოგრაფიაზე.

კავკასიური ბაზრობის ორგანიზატორებმა მოახერხეს კულტურის გეომეტრიულ ფიგურასთან გაიგივება, მისი სექტორებად დაყოფა და ამ სექტორებიდან განსაკუთრებული სეგმენტების გამოაშკარავება. ამონარიდი ბიულეტენიდან: "კულტურის ცალკეული სექტორებიდან გამოიკვეთა შემდეგი სეგმენტები:". მაგრამ ყველა ჩამოთვლილ სეგმენტში განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება აბრევიატურას - ა. შ.

როგორ ჩაეტევა ბაზრობის ბიულეტენში ჩამოთვლილი კულტურის სექტორების ყველა სეგმენტი ბაზრობისთვის განკუთვნილ 7 დღეში, ცოტა ძნელი წარმოსადგენია.

იმის იმედი, რომ საერთაშორისო ბაზრობა "კავკასია 2003"-ზე თუნდაც რუსეთის რომელიმე გალერეა იქნებოდა წარმოდგენილი, ფუჭი აღმოჩნდა. ჯერჯერობით რეგისტრირებულია რამდენიმე გაურკვეველი წარმოშობის მონაწილე საქართველოდან – სტუდიები "მანანო" "ელეონი" "სახლი"... ცნობილებს შორისაა "ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი" და "არსი". ეს ყველაფერი დიდი საკონცერტო დარბაზის მეოთხე სართულზე იქნება წარმოდგენილი.

როგორც გავიგე, ბაზრობის დღეებში (10-17 ოქტომბერი) ჩატარდება კონფერენციები კულტურის პოლიტიკაზე. ამასთან ჩვენთვის უცნობი ჩამოსული სტუმრები თბილისის თეატრებს, კინოთეატრებს და მცხეთას მოინახულებენ.

ისე, შემთხვევით, ბაზრობის ბიულეტენი თუ ჩაგივარდებათ ხელში, მაგრად იხალისებთ. მაგალითად შოუ-ბიზნესის სეგმენტში შედის კულტურული ტურიზმი; ერთ-ერთი სეგმენტის ჩამონათვალი ასეთია: "ჩაწერილი პროდუქცია: სიდი, დივიდი, ვიდეო, აუდიო, სიდი რომი და ა.შ." (ნეტავ ა.შ.-ში რაღა იგულისხმება?)

მაგრამ კულტურის ბაზრობის ბიულეტენის ლაბირინთებში გარკვევას ჯობია, რიჩარდ ველანის მიერ სახსოვრად დარიგებულ რეალურად არსებული ვებ-გვერდების (ეს არის მისამართები ფოტო მუზეუმების, ფოტოგალერეების, გამომცემლობების, ფოტოსააგენტოების და ა.შ.) დათვალიერებით მიიღო სიამოვნება, ვიდრე კულტურის საერთაშორისო ბაზრობის "კავკასია 2003"-ის ვებ გვერდის მომზადებას დაელოდო.

## TV პროგრამა
### 25 სექტემბერი

**რუსთავი - 2**

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პანაწინა ონავრები" **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი „სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა" **17.30** სერიალი „პანაწინა ონავრები" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები" **19.10** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო-უახლესი ისტორია" **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი „შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.40** მხ.ფილმი „ნუ შეგვაწუხებთ". მთ. რ-ში: ჯენიფერ ტილი, ფრანჩესკა ბრაუნი.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „კიტუ" **10.10** მხ. ფილმი „საუკეთესო საუკეთესოთა შორის-3" **11.45** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** „გაცოცხლებული ფურცლები" **15.15** მხ. ფილმი „კ-2 მაქიმალური სიმაღლე" **17.00** დოკ.სერიალი „მხატვრები" (შარდენი) **17.25** მულტსერიალი „კიტუ" **17.40** „ერთი თეთრიც ფულია" **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა" **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.30** ავიაშოუ **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „კიკუჯირო".

**პირველი სტერეო**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ყველა გიჟდება მერიზე" მთ.რ-ში კამერონ დიასი, მეთ დილონი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** „ბრავო" „მდივანი ქალი". მთ. რ-ში ჯეიმს სპეიდერი, მეგი გილენჰალი. **01.50** „ღამურა" „მსოფლიოს ცენტრი" მთ. რ-ში მოლი პარკერი, პიტერ სარსგარდი. **03.00** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.35** მხ. ფილმი „ლუჟინის დაცვა" **21.00** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი „საუკეთესო საუკეთესოთა შორის-2".

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი „შვიდი წელი ტიბეტში" **14.30** მხ.ფილმი „ეპიდემია" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ. ფილმი „რეალობა იკბინება" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „ოთხი პერი".

**იბერია**

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი „საპაერო პოლიცია" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „ბომბები ბერლინის ქვეშ" **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** მხ. ფილმი „საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „როსინი".

**მეცხრე არხი**

**08.00** პროგრამა „დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** მულტსერიალი „კონკია" **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები" **11.10** სერიალი „ინდიგოს მიწა" **12.00** „ცხელი ცხრიანი" **12.50** რუს. მხ. ფილმი „აღმოსავლური რომანი" **14.20** „ტელემეტრი" (განმ.) **14.50** „ქართული ფეხბურთი" **15.20, 16.20, 17.50, 18.50** მუსიკა **15.30** სერიალი „ფორმულა-1" 1-ლი ს. **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე" **17.00** სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „კონკია" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი „ინდიგოს მიწა" **20.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები" **21.15** სერიალი „ფორმულა-1" მე-2 ს. **22.00** „ღამის მატარებელი" (განმ.) **00.30** მხ. ფილმი „აჩრდილთა დრო".

**იმედი**

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.45** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის" დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.30** „ერთხელ ჰოლივუდში" **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „ამაზონია" **15.15** მხ. ფილმი „მამიკოები" **17.00, 18.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **20.15** სპ. პროგრამა „ესტაფეტა" **20.40** „დროებითი ზღვარი" **23.15** კინოვარსკვლავთა ღამე „ჰანიბალი".

**აჭარა**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **09.30** კომედია „მეექვსე მოთამაშე" **11.15** დოკუმენტური ფილმი **11.50, 13.55, 15.40** მუსიკა **12.20** მისტიკური თრილერი „ვიდოკი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია „არ დაკარგო მხედველობიდან" **16.20** მულტფილმი **16.40** დრამა „ტელევიქტორინა" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.20** კომედია „ურჩხული" **21.55, 01.00, 02.55** მუსიკა **23.00** „ექსკლუზივი" **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.05** თრილერი „სამოქალაქო სარჩელი" **03.40** მელოდრამა „უკანასკნელი რაინდი".

**VII არხი**

**09.10** მელოდია **09.15** „აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.20** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (გამეორებით) **10.55** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.20** მელოდია . **11.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.20** ტელესერიალი - „მაქმანები" - მე-10 სერია **13.05** დისნეი და მისი მეგობრები **13.25** კომპიუტერული თამაშები **13.30** მელოდია **13.45** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** მობილურები **19.00** „აჩიკუდა" **19.20** მოკლედ... სპორტი 19.25"სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** კომპიუტერული ტექნიკა **21.00** „ღამის კაპრიზი" **22.05** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.55** „კინოკლუბი „ - „მძორი" . ფანტასტიკა. რეჟ: მარკ დიპე. როლებში: მარტინ შინი, ტერეზა რენდელი. **00.20** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ვარსკვლავური კარიბჭე"- მე-8 სერია **01.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **01.50** ანონსი.

**ОРТ**

**07.00** „Доброе утро!" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 10.20 Худ.фильм „Две судьбы" 11.30 Худ.фильм „Молодая Екатерина", 3 с. 12.40** Дисней-клуб: „Базз и его команда" **13.20** „Город женщин" **14.10** Док.фильм „Неоконченный роман. Лидия Федосеева-Шукшина" **14.40 Худ.фильм „Берег", 1 с. 16.20, 01.50** „Фабрика звезд 3" **16.40** „Ералаш" **17.00 Сериал „Берег мечты" 18.00** „Большая стирка" **19.30** „Ералаш" **20.50 Сериал „Убойная сила. Золотая обойма" 22.00, 00.30** „Время" **22.30 Худ.фильм „Две судьбы" 23.40** „Человек и закон" с А.Пимановым **00.50** „Теория невероятности". „Телекинез" **01.20** „Большие гонки".

**РТР**

**06.00** „Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал „Каменская 2" 10.50** „Аншлаг" **11.50, 14.50, 17.30** „Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва" **12.50** „Мусульмане" **13.00** „Вся Россия" **13.15** „Москва - Минск" **13.30** „Колоссальное хозяйство" **13.50 Детектив „Марш Турецкого. Новое назначение" 15.30** „Комната смеха" **16.25** „Мой серебряный шар. В. Листьев" **18.10** „В поисках приключений" **19.10 Мелодрама „Ундина" 20.05** „Вторая половина" **21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55** Народный артист **22.50** „Кубок юмора". В перерыве: Результаты голосования „Народный артист - Ваш выбор!" **01.35 Боевик „Черные тигры" 03.35** „Дорожный патруль" **03.50 Сериал „Ангелы Чарли" 04.45 Сериал „Затерянный мир" .**

**НТВ**

**07.00** „Утро на НТВ" **09.50 Сериал „Черный ворон" 11.00** „Сегодня утром" **11.25** „Женский взгляд". Г.Шугурова **12.00** „Квартирный вопрос: солома и бонсай" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10** „Сегодня" **13.30** „Красная стрела" **13.50** „Страна советов" **14.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4" 15.45** „По праву" **16.35** „Принцип домино". „Настоящие мужчины - где вы?" **18.30 Сериал „Супершпионки" 19.25** „Профессия-репортер". „Билет на северный полюс" **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей 4" 21.45 Сериал „Черный ворон", 12 с. 23.00** „Страна и мир" **23.35** „Красная стрела" **23.55** „К барьеру!" **01.35** „Ночные музы" **02.10** „Стиль от..." Р.Литвиновой **02.20** „Ночная афиша" **02.35** „Такая жизнь?" **03.05 Сериал „За гранью возможного"**

# პროვინციელი ბიჭი - პედრო

სალომე კიკალეიშვილი



ქეით ბლანშეტი ალმადოვარს "ოქროს გლობუსს" გადასცემს

REUTERS

2003 წლის 27 მარტი. გასუსული დარბაზი მოუთმენლად ელოდება იმ იღბლიანის სახელის გაგებას, რომელიც ოსკარით ხელში, გამარჯვებული სახით დატოვებს გაბრწყინებულ დარბაზს. და აი, დგება სანატრელი მომენტი. ანტონიო ბანდერასი და პენელოპა კრუსი, მისივე აღმოჩენილი ეს ორი ესპანელი მსახიობი, ხსნიან კონვერტს და... საუკეთესო, უცხოურენოვანი ფილმისათვის ოსკარი გადაეცემა – პედრო ალმოდოვარს ფილმისათვის "ესაუბრე მას". ეს უკვე ტრიუმფი იყო მისთვის და მთელი ესპანეთისთვის.

დღეს იგი ყველაზე პოპულარული ესპანელი რეჟისორია. რამოდენიმე წიგნის ავტორი, თავად გახლავთ მასზე დაწერილი არაერთი ნაშრომის გმირი.

ეს უნივერსალური პიროვნება, რომელიც თვითონვეა სცენარისტი, მხატვარი, კომპოზიტორი და ზოგჯერ მსახიობიც კი, 1951 წლის 25 სექტემბერს, ესპანეთის ერთ-ერთ პატარა პროვინცია –კალზადაში დაიბადა. თუმცა, კინოსადმი სწრაფვა და ფილმების შექმნის დაუოკებელი სურვილი, 16 წლის პროვინციელ ბიჭს მადრიდში გადასახლებას აიძულებს, რაც ახალ, უზარმაზარ, თავისუფლებით აღსავსე დიდ სამყაროში შებიჯებას ნიშნავს.

მადრიდი იმედებით აღსავსე პედროს არც ისე ხელგაშლილი დახვდა, გენერალ ფრანკოს ბრძანებით დახურული კინოს სკოლა, არეული 60-იანი წლების დიდი ქალაქი. საარსებო, და რაც მთავარია, კამერისთვის საჭირო თანხის შესაგროვებლად პედრო სატელეფონო კომპანიაში იწყებს მუშაობას. 12 წლის მანძილზე, ადმინისტრატორის ადგილზე მომუშავეს, მუდმივი შეხება აქვს მადრიდის საშუალო ფენასთან, მის ბურჟუაზიულ აზროვნებასთან, მენტალიტეტთან – ის რაც ასე უხვადაა მის ფილმებში. ამით შთაგონებული, საღამოობით სახლში მარტო დარჩენილი ხან პატარ-პატარა ჩანახატების წერით ირთობს თავს, და ხან სიმწრით ნაყიდი კამერით იღებს 10-20 წუთიან ფილმებს...

ასე გაგრძელდა 1980 წლამდე, ანუ მანამდე, სანამ ეკრანზე მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი "პეპი, ლუსი და ბომ..." გამოვიდოდა. ფილმი, რომელმაც ფართოდ გაუღო კარი პროვინციელ ბიჭს კინოს უკიდეგანო სამყაროში. "მისი პირველი ფილმი, პირველი აღიარება, დემოკრატიის დაბადებას, მადრიდში ახალი ცხოვრების დაწყებას დაემთხვა, რამაც კიდევ უფრო გაამყარა მისი წარმატება. უდავოა, ალმოდოვარი საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდაო" - წერდა პრესა.

პედრო ალმოდოვარი კიდევ არაერთხელ გააკვირვებს, ასიამოვნებს და გააღიზიანებს მაყურებელს. "ვნებათა ლაბირინთი", "მატადორი", "ქალები ნერვიული აშლილობის ზღვარზე", "მაღალი ქუსლები"... დაბოლოს "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" და "ესაუბრე მას" – ფილმები, რომლებმაც ესპანელ რეჟისორს უდიდესი წარმატება მოუტანეს და რომლებმაც მთლიანად დაანგრიეს მითი "პატარა, პუტკუნა, მასხარა კაცუნაზე" – როგორც მას ხშირად უწოდებდნენ.

მისი ფილმები ხომ ნამდვილი ზეიმია, სადაც შეგიძლია იცინო, იმხიარულო, იტირო. შეგიძლია, ზედაპირულად უყურო და დატკბე ამ სანახაობით, ან უფრო ღრმად, შიგნით ჩახედო კაშკაშა ფერების ფონზე ჭიანჭველებივით მოფუსფუსე დრამატულ, სასაცილო, პატარა ადამიანებს; ვიქტორია აბრილის პაწაწინა, დაბნეულ თვალებს, თუ მარისია პარედოსის პირქუშ სახეს; ამორძალებივით მაღალ ქუსლებზე შემდგარ, მოკლე ქვედაბოლოიან ძლიერ ქალებს, თუ სესილია როტის ("ყველაფერი დედაჩემის შესახებ") ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებას...

ფილმებში, რომელთა "ქაოსურ" სამყაროში რეჟისორი ქალისა და კაცის, დედისა და ვაჟის ურთიერთობის შესწავლას ცდილობს, გმირები ხშირად "გაორებულ" თამაშში ებმებიან, იცვლიან სქესს, როლებს: იქნება ეს ქალად გადაცმული ტრანსვესტიტი, რომელიც ბოლოს გამომძიებელი აღმოჩნდება ("მაღალი ქუსლები"), თუ ხარებთან მებრძოლი ლიდია ("ესაუბრე მას") – კაცური საქმიანობით დაკავებული ქალი, რომელსაც გულის წასვლამდე ეშინია ქვეწარმავლების.

რახან ამ ფილმს შევეხე, არ შემიძლია ზოგადად მაინც არ გამოვხატო ჩემი პირადი მოსაზრება, პირადი სიყვარული ამ ფილმის მიმართ. ფილმის ნახვის შემდეგ შეიძლება ბევრი ილაპარაკო, ან პირიქით გაჩუმდე, ხმა ვერ ამოიღო, დამუნჯდე, დაფიქრდე. "სცენარის წერისას, ზოგჯერ რაღაცეებს ვერ ვაცნობიერებ, ამიტომ ვეშვები, ვისვენებ, მერე



"ესაუბრე მას"-ზე დღემდე საუბრობენ

REUTERS

კი ისევ ვუბრუნდები და ვცვლი სცენებს. მაგრამ ამჯერად მე ზუსტად ვიცოდი ის, თუ რისი თქმა მინდოდა" – ამბობდა რეჟისორი ფილმზე "ესაუბრე მას".

ეს არის ოთხი ადამიანის, ოთხი არსების მარტოობის, სიყვარულის სევდიანი ისტორია. სადაც ორი გააგრძელებს სიცოცხლეს, ორი კი... ფილმი ლეგენდარული პინა ბოშის მიერ დადგმული Cafe Muller-ით იწყება, სადაც არაამქვეყნიური, თითქოსდა ტრანსში მყოფი ქალები, უაზროდ მოძრაობენ, ცეკვავენ. მამაკაცებს კი მხოლოდ სკამების, წინაღობის მოშორების ფუნქცია აკისრიათ, რათა ქალები არ დაეცნენ, არ დაშავდნენ. ამისთვისაა საჭირო ექთანი ბენინიოც (ხავიერ კამარა), რომელიც თავისი სიყვარულით, მზრუნველობით უნდა დაეხმაროს კომაში მყოფ ალისიას. ოთხი წლის მანძილზე ნაზად უვლის, ვარცხნის, ბანს, ესაუბრება. პარალელურად კი ფილმში მეორე წყვილის ისტორიაც ვითარდება, სადაც ხარებთან მებრძოლი ქალი – ლიდია, კორიდაზე დაშავების შემდეგ იგივე საავადმყოფოში ხვდება. ესაუბრე მას თუ გინდა გააგონო, გააღვიძო – ამბობს ალმადოვარი, ალისია გამოდის კომადან, ლიდია კი...

ამ ფილმში პედრო ალმადოვარის, არამარტო როგორც დიდი რეჟისორის, არამედ როგორც დიდი მხატვრის ნიჭი გამოჩნდა, სადაც ყოველი კადრი, მშვენივრად დახატული ტილოა. ხოლო ბენინიოს უსაზღვრო სიყვარულის და მისი "დანაშაულის", 5-წუთიანი, შავ-თეთრი ფილმით, დელიკატურად გადმოცემული ისტორია ძალზედ შთამბეჭდავი, ყოვლის მთქმელია.

შეუძლებელია, მოკლედ და ამავე დროს ამომწურავად ისაუბრო პედრო ალმადოვარზე. ამას გაცილებით დიდი დრო სჭირდება. ტრანსვესტიტები, ტრანსსექსუალები, ლესბოსელები და ჩვეულებრივი ადამიანები – ასეთები არიან ისინი ალმადოვართან. მე კი უბრალოდ მონდოდა მეთქვა – დაბადების დღეს გილოცავ პედრო!

# წერეთლის ცრემლები ნიუ იორკში

ზურაბ წერეთელი ახალ სკულპტურაზე მუშაობს. ამჯერად ესაა სტელა, რომელსაც ნიუ იორკში, ტერორიზმის მსხვერპლის უკვდავსაყოფად დადგამენ. ცნობილი სკულპტორის ნამუშევარი 30 მეტრის სიმაღლის ბრინჯაოს ქმნილება იქნება. ძეგლი გამოხატავს უზარმაზარ შენობას, რომელშიც მოთავსებულია ბროლის ცრემლები.

როგორც ვარაუდობენ, ძეგლი ჰუძონის სანაპიროს ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას, ტერორისტული აქტიდან მესამე წლისთავისთვის დაიდგმება. ნიუ-ჯერსის ერთ-ერთმა წამყვანმა გაზეთმა წერეთლის ეს ნამუშევარი თავისი მნიშვნელობითა და სიმბოლური დატვირთვით თავისუფლების ქანდაკებას შეადარა. სხვათა შორის, მანძილი ამ ორ ქანდაკებას შორის არც ისე დიდი იქნება.

GALLERY CHARDIN

ასოციაცია "თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრი", გალერეა "შარდენისა" და სამხატვრო სალონის "შარდენი 15" მხარდაჭერით, 2003 წლის დეკემბერში აწყობს მინანქრის I საერთაშორისო გამოფენას.

საგამოფენო ნამუშევრები შეირჩევა კონკურსის წესით, საერთაშორისო ჟიურის მიერ.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მხატვრებს.
კონკურსი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის პრიზებს:

- პრიზი რელიგიურ თემაზე შექმნილი საუკეთესო ნამუშევრისათვის დაწესებული ღონისძიების გენერალური სპონსორის მიერ - 1000 $
- პრიზი საუკეთესო მინანქრული კომპოზიციისათვის 1000 $
- პრიზი საუკეთესო დიზაინისათვის 800 $
- პრიზი საუკეთესო სამკაულისათვის 500 $
- მაყურებლის სიმპათიის პრიზი 200 $

ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 10 ნოემბერი.

გამოფენის გახსნა და პრიზებით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება 2003 წლის 7 დეკემბერს, გალერეა "შარდენში".

მონაწილეობის მსურველებს, დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეუძლიათ მიმართონ მისამართზე:

შარდენის ქ. 15, სამხატვრო სალონი "შარდენი 15", ტელ: 92 32 38

ყოველ პარასკევს,
ღამის კურიერის
პირდაპირ ეთერში

თქვენ შეგიძლიათ სტუდიაში დასწრება და გადაცემის მსვლელობის დროს უშუალო მონაწილეობის მიღება.

დარეკეთ 24 საათის განმავლობაში, ნომერზე 332609

გაიარეთ მარტივი რეგისტრაცია და მოხვდით ღამის კურიერის სტუდიაში.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA – მარკეტინგი / ფინანსები / IT / ელექტრონული კომერცია / HRM / პროექტის მენეჯმენტი
MSc – საინფორმაციო ტექნოლოგიები / კომპიუტერული სისტემის ინჟინერია / ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 6950. 3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის ...
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან დაუკავშირდით წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია
მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!
ფირმა "ფენიქსი"

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტოტალიზატორ "საოქრო თევზის" გათამაშება.

დაწვრილებითი ინფორმაცია და კუპონები ... იხილეთ გაზეთ "24 საათში"

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "მზიური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში.
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.